



საბოლტიკო, სამეცნიერო და სალიბერატურო ნახაზებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

გაზეთის ფასი: ერთი წლით გაუგზავ. 7 მან., გაგზავნიტ 3 მან. ნახევარი წლით გაუგზ. 3 მან. 50 კაპ., გაგზ. 4 მან. სამი თვით გაუგზ. 2 მან., გაგზ. 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი სამ შაურათ.

ხელის-მოწერა მაიღებ: თფილისში „წერა კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая, д. зем. банка № 101) და თვით „ქვალის“ რედაქციაში არტილერიის ქუჩა, № 5. ფოსტის აღრესი: Тифлисъ. Редакция „Квали“.

შინაარსი: სახალხო სახლი ნ. ჟორდანიასი.—სხვა-და-სხვა ამბები.—„კვალი“-ს კორესპონდენციები.—საზღვარ-გარეთ.—ჩვენი საზიობა.—გოდება, ლექსი გ. ბოკერიასი.—წერილი ყაზანიდან ს. გორგაძისა.—მცირე შენიშვნა ვ. შავლიასი.—ქალის ბრძოლა უფლებებისათვის S—H—სა.—მცირე პასუხი ს. ქვარიანისა.—საქველ-მოქმედო საქმე და განცხადებები.

სახალხო სახლი.




მ ბოლო დროს ჩვენში ხშირათ ლაპარაკობენ ვერეთ წოდებულ სახალხო სახლის შესახებ. თფილისში კიდევაც დაარსდა განსაკუთრებითი კომიტეტი ამ გვარი სახლის ასაგებათ. ამისათვის ის აგროგებს ფულს, სტამბავს სხვა-და-სხვა მოწოდებებს და იწვევს საზოგადოებას ამ საქმეში და-

სახმარებლათ. ერთი ასეთი მოწოდება ჩვენ რედაქციასაც მოუვიდა გამოსაქვეყნებლათ; მაგრამ ბევრმა არც იცის რა არის სახალხო სახლი, რა სარგებ-

ლობის მომტანია, რას ემსახურება და რის მომასწავებელია. ამიტომ ჩვენ, მოწოდების დაბეჭვდის მაგიერ, განვიზრახეთ ამ საგნის მოკლეთ გამოკვევა და მისი სასარგებლო მხარეების გათვალისწინება. და ეს არა მარტო თფილისელთა საყურადღებოთ, არამედ სხვა ჩვენი ქალაქების და დაბასოფლების საგულისხმოთაც.

რა არის სახალხო სახლი? ის არის, პირველ ყოვლისა, ისეთი ადგილი, სადაც დაუბრკოლებლათ ხალხის თავ-ყრილობა იმართება. ადამიანი, რომელიც მთელ დღეს მუშაობს და ოფლსაღვრის, აუცილებლათ საქიროებს, თუ ყოველ საღამოს არა, კვირაში რამდენიმე საღამოს მაინც, თავისივე მზგავსნი ინახულოს და მათთან ერთათ ყოველ-დღიური ჭირ-ვარამი შეიმსუბუქოს. მუშაკაცი, როგორც მორჩება თავის სამუშაოს, მიდის შინ და ამით წყდება თავის ტოლ-ამხანაგთა საზოგადოებას. სახლში მას ხედება ათას-ნაირი გაჭირვებული მდგომარეობა, რომლის ცქერით კიდევ უფრო უნდა გული-გაიხეთქოს და ნაღვლიანი კიდევ უფრო დანაღვლიანდეს. მას ტვირთათ აწვეს სამუ-





შაოს მთელი სიმძიმე, ტვირთათ აწევს ოჯახის გა-  
 კირვება და ამ მძიმე უღელ ქვეშ ატარებს მთელ  
 თვეებს და წელიწადებს. ასეთი კაცი ხშირათ სახლ-  
 შიაც აუტანელი ხდება. იმას ნერვები ეშლიება,  
 დედ-მამას, ცოლ-შვილს უდიერათ ეპყრობა და ამ  
 ნიადაგზე ბევრ ნაირი საოჯახო განხეთქილება  
 დგება. და აი, ხალხის დიდი უმრავლესობა ასეთ  
 მდგომარეობაშია ჩაყენებული და, რაღა გასაკვირვე-  
 ლია, აქედან ის რაიმე გამოსავალს ეძებდეს. ის  
 ელტვის ერთათ თავი მოიყაროს ან საბაასოთ, ან სა-  
 ქეიფოთ ან და სალაზღანდაროთ. ის იკრიბება  
 ან ბაღებში, ან სამიკიტნოებში ან და ქუჩა-ქუჩა  
 დაეხეტება; ეს არის ერთმანეთის ნახვა შემთხვევით  
 და ამას რასაკვირველია არც რაიმე ვონიერი მიზანი  
 ექნება. მართალია, იკრიბებიან აგრეთვე ერთმანე-  
 თისას, ოჯახებში, მარა აქაც უფრო დროს გასა-  
 ტარებლათ ძველებურათ, ჩვენებურათ ვი-  
 ნემ კულტურული სიამოვნების მისაღებათ.  
 ერთი სატყვიოთ, ხალხს, განსაკუთრებით მუ-  
 შა-ხალხს, არ აქვთ ისეთი ბინა, სადაც თავისუფ-  
 ლათ შეეძლოს მისვლა და თავის მოყრა. და აი,  
 ასეთი საერთო ბინაა მხოლოთ სახალხო სახლი. აქ  
 ის სტუმარი არ არის, რომელსაც ხშირათ მისვლა  
 არ ენებრება; ის აქ არც ძალით მოყვანილია, რომ-  
 ელიც ერთი თვალით გარეთ იხედება; აბა როდის  
 წავიდეო, არა, აქ ვინც მოვა—მოვა თავის ნებით და  
 დარჩება როგორც შინა-კაცი, როგორც სახლის  
 პატრონი. აქ ის ხედავს ნაცნობთ და უცნობთ,  
 ეცნობა სხვა-და-სხვა წრის კაცს და მათთან ერ-  
 თათ სხვა-და-სხვა აზროვნებას და ზნე-ჩვეულებას...

მაგრამ, სახალხო სახლის დანიშნულებაა არა  
 მარტო ხალხის შეკრება, არამედ ამ შეკრებილთა გო-  
 ნებრივათ და ზნეობრივათ ამაღლება. ამ მიზ-  
 ნის მისაღწევათ აქ იმართება სამკითხველო,  
 წიგნთ-საცავი, წარმოდგენა, კონცერტი, მუსიკა-  
 ლური საღამოები, ლექციები, საგიმნასტიკო ვარ-  
 ჯიშობა—ერთი სიტყვით ყოველივე ის, რაც კაცს  
 კაცათ ქმნის. აქ ის წაიკითხავს ჟურნალ-გაზე-  
 თობას, მოისმენს საუკეთესო მომღერალთ, ყურს  
 დაუგდებს მჭერმეტყველთა მოხსენებას—ატარებს  
 დროს როგორც ნებადს. აქ მოყავს მას ცოლ-  
 შვილი მთელი ოჯახობა და მათთან ერთათ კულტურუ-  
 ლათ ვითარდება. მისი ჭკუა-გონება ფართოვდება,  
 მისი გემოვნება იწმინდება, მისი ზნეობა ფაქიზდ-  
 ბა და ასე ის თანამედროვე მოქალაქეთ ხდება. ეს  
 კიდევ ცოტაა, ის არა თუ სხვას უსმენს სიტყვას,  
 მუსიკას და სხ. არამედ ყველა ამაში თვითონაც  
 ერევა და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს.  
 ის ეჩვევა თავისი აზრი შეიმუშაოს და ეს საჯა-  
 როთ გამოთქვას, სხვას შეეკმათოს და მოწინა-

აღმდევთა შეხედულობა დაარღვიოს. ეს ადრე-  
 რებს მის გონებასთან ერთათ მის მჭერმეტყველებას  
 და ამ გზით შესანიშნავი ორატორული ნიჭიც  
 ჩნდება. ის აარსებს თავის ტოლ-ამხანაგებისაგან  
 საზოგადოებას მუსიკის, სიმღერის, წარმოდგენის,  
 ცეკვის, გიმნასტიკის და სხ. და სხ. ესენი აქ დანიშნულ  
 დროზე იკრიბებიან და თავ-თავის საქმეში ვარჯი-  
 შდებიან. უკვე მცოდნე და გაეფარჯიშებულნი სა-  
 ჯაროთ გამოდიან სცენაზე და თავის ხელოვნებით  
 მაყურებელთ ატკობენ. ასეთ ვარჯიშობაში იწვრ-  
 თვენება და იქმნება ხშირათ სახელოვანი მემუსიკე,  
 მომღერალი და არტისტი. ამნაირათ, ეს „გაუ-  
 თლელი“ მუშა, რომელსაც ახლა ასე უკადრისათ  
 ეპყრობიან, ნამდვილ ადამიანათ ხდება. იმას ველარ  
 გაარჩევ „გაზდილ“ ადამიანებისაგან ვერც ქცევით,  
 ვერც სიტყვა-პასუხით და ვერც მიხერა-მოხვრით.  
 სხვებისაგან მხოლოთ სოციალური მდგომარეობით,  
 შეძლებით განსხვავდება, ხოლო გონებრივი, ესტე-  
 ტიკური და საზოგადოებრივი მოახოვნელებით  
 კი არავის ჩამორჩება და არა თუ ჩამორჩება, შეიძ-  
 ლება ბევრს კიდევაც გადააცილოს. ცნობილი ფაქტია  
 ის, თუ რა დავიდარაბა ასტეხეს გერმანიის მუშე-  
 ბმა 1896 წ. ერთი მათი სალიტერატურო ორგანოს  
 („Die Neewelt“) წინააღმდეგ მხოლოთ იმიტო, რომ  
 რედაქტორმა ორი მეტის-მეტი „რეალისტური“ მო-  
 თხრობა დაბეჭდა სწორეთ ისეთები, როგორცაც „გა-  
 ზდილი“, საზოგადოება ყოველ-დღე ათასობით ყიდუ-  
 ლობს და მათი კითხვით ტკება. მუშის გრძნობა შეა-  
 შფოთა ისეთი საგნების აწერამ, რაიცა განსწავლულთ  
 ჩვეულებრივ რომანათ ეჩვენება. ერთ ასეთ სალი-  
 ტერატურო მიტინგზე მუშამ განაცხადა: ერთი  
 ამიხსენით, რათ მინდა ისეთი მოთხრობა, რომლის  
 წაკითხვა არა თუ ქალს, მეც კი მაწითლებსო? ამის  
 პასუხათ ნასწავლმა რედაქტორმა მიუგო: ეს არის  
 თანამედროვე მიმართულება მწერლობაშიო...  
 ეს თანამედროვე კი არა, ბურჟუაზიულიაო — მიუგეს  
 აქეთ-იქიდან... აი, როგორ შეიძლება მუშა-ხალხის  
 გემოვნება გაფაქიზდეს და მით ლიტერატურაც გა-  
 აფაქიზოს. ხალხის ასეთი გაწრთენა უმაღლესი მი-  
 ზანია ყოველი ერის კულტურული მოძრაობის.  
 და აი, სახალხო სახლი ამ მოძრაობის ერთი უძლიე-  
 რესი საშუალებათაგანია, და ეს განსაკუთრებით  
 ჩვენში, სადაც ბევრ ევროპიულ კულტურულ სა-  
 შუალებებს ძალა-უნებურათ მოკლებული ვართ...

ამ ნაირათ, სახალხო სახლებს აგება და შე-  
 საფერათ მოწყობა ყველა ერის და ყველა საზო-  
 გადოების უწმინდესი მოვალეობაა. ამიტომ არის.  
 რომ ამ საქმეს ასე დიდ ყურადღებას აქცევენ დასავლეთ  
 ევროპაში. უშესანიშნავესი სახალხო სახლია ბრიუ-  
 სელში, რომელიც შედგება ოთხი სართულით და ორ-



მოცემული ოთახისაგან. აქარის სხვათა შორის 18 აუდიტორია, სადაც, ხშირათ ერთსა და იმავე საღამოს, სხვა-და-სხვა საგნის შესახებ ლექციები იკითხება, მიტინგები იმართება, კრებები იხსნება და ყველას შეუძლია მათი დასწრება. აქ მოქანცული მუშაკაცი პოულობს ნამდვილ მოსვენებას და გართობას. ეს შენობა ეკუთვნის ბრიუსელის მუშათა კოოპერატიულ საზოგადოებებს, რომელთა წევრია 25 ათასი ოჯახი, ევროპის თითქმის ყოველ ქალაქშია დიდი თუ პატარა სახალხო სახლი, ზოგი ამათგანი ეკუთვნის კერძო ამხანაგოებებს, ზოგიც ქალაქთა თვითმართველობებს. ჩვენში ჯერ ეს უცხო ხილია. ამ ყამათ მხოლოდ თფილისში მეცადინეობენ ასეთი შენობის აგებას\*) და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თფილისს სხვა ჩვენი ქალაქები და დაბა-სოფლებიც წაბაძავენ. და როცა სახალხო სახლი ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში აღიმართება, როცა ის ქართველი ხალხის მიუცილებელ მოთხოვნილებათ გადაიქცევა—მაშინ ჩვენი კულტურული აღზრდა სწრაფი ნაბიჯით გაექანება და ჩვენი ცხოვრების შეურყვეველ დვრიტათ გადაიქცევა...

ნ. ჟორდანია.

### სხვა-და-სხვა ამბები

ეს ერთი კვირაა მისი იმპერატორებითი უდიდებულსობა ხელმწიფე იმპერატორი მძიმე ავით ბრძანდება. ინფლუენცია მუცლის სახადათ გადაეჭა. აი უკანასკნელი ბიულეტენი: ლივადია, ხელმწიფე იმპერატორმა გუშინდელი დღე გვარიათ გაატარა; თვითმგრძობელობა კარგი აქვს; საღამოს 9 საათზე სიცხე ჰქონდა 39,2, მაჯა 76. ღამით ცოტა ეძინა. საზოგადო მდგომარეობა კარგია. დილით სიცხე ჰქონდა 38,1, მაჯა 70“. მთელ იმპერიაში მისი უდიდებულესობის სამშვიდობო პარაკლსებს იხდიან.

21 ამ თვეს მოწვეულია თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის სიგანგებო კრება, განსახილველათ და დასამტკიცებლათ საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლის დღესასწაულის პროექტისა.

თფილისის გუბერნიის თავად აზნაურობის წინამძღოლის თანამდებობაზე არჩეული თ. დ. ზ. მელიქიშვილი მთავრობას დაუმტკიცებია ამ თანამდებობაზე.

\*) ამ საგნისათვის შემოწირულებას ღებულობს ყველა ადგილობრივი რედაქცია.

5 ნოემბერს მოხდა ქართული დრამ. საზოგადოების წევრთა წლიური კრება. კრებამ დამტკიცა გამგეობის ანგარიში და მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა, ცოტა რამ ცვლილებით. დიდი ბაასი გამოიწვია თეატრის შენობის იჯარით აღების საქმემ და ბოლოს გადაწყდა: თავად-აზნაურობის მომავალ კრებას მოეთხოვოს გვიზლოს ის ზარალი, რომელიც მისი არჩეული კომისიის წყალობით საზოგადოებას მოუვიდაო. ბოლოს არჩეულ იქმნენ სარევიზიო კომისიის და საზოგადოების ახალი წევრები. აი მათი სახელები: სარევიზიო კომისიაში ქ. მ. დემურიასი, ბ.ბ. შ. დედაბრიშვილი და გრ. ქურდიანი; ახალი წევრები: ბ.ბ. ირაკლი დეკანოზიშვილი (ერთათ შემოიტანა ხუთი თუმანი), დ. ნახუცრიშვილი, გრ. ქურდიანი, ალ. ალლაძე, ს. მერკვილაძე, ს. ჯუღელი. ი. ზურაბიშვილი, ვ. ლორთქიფანიძე, მ. გობეჩია და ა. ახალშენიშვილი.

როგორც პეტერბურგის გაზეთები გადმოგვცემენ, კახეთის რკინის გზის გასაკეთებლათ შემდგარა ფრანგთა ამხანაგობა, რომელსაც შინს ათასი მან. უკვე წარუდგენია ხაზინაში გირაოთ. სულ მთელი გზა ზემო ავქალიდან სოფ. საქობომდის დაჯდება 12 მილიონი მ.

მთავრობას განუზრახავს აკრძალოს კვირაობით მუშაობა სტამბებში, ასე რომ ორშაბათობით ვაზეთი აღარ უნდა გამოდიოდეს. ამ საკითხის საბოლოოთ გადასაწყვეტათ, ის დაკითხვბია რუსულ შურნალ-გაზეთების რედაქტორ-გამომცემლებს და მოსკოვის და პეტერბურგის ასოთ-ამწყობებს. როცა ყველა ამათი პასუხი მიუვა—ეს კითხვა მაშინ გადაწყდება.

დღეს, კვირას, დიდუბის ეკლესიაში გადაიხდიან პანაშვიდს განსვენებულთ დ. ბაქრაძეს და ალ. როინაშვილის სულის მოსახსენებლათ, და შემდეგ წირვისა მოხდება მათ საფლავზე ძეგლის კურთხევა.

10 ამ თვეს თფილისის ოლქის სასამართლოში გაირჩა მასწავლებელი ს. წერეთლის და ცნობილი მილიონერის ქალ. არაფელოვის საქმე; ბრალსა დებდა პირველი მეორეს, რომ ქუჩაზე ქურდობა დამწამა, პოლიციასაც დააკავებია ჩემი თავი და მით ღრმა შეურაცხყოფა მომაცენაო. ოლქის სასამართლომ დაამტკიცა მომრიგებელ მოსამართლის განაჩენი. რომლის ძალით ქალ. არაფელოვი ცნობილ იქნა დამნაშავეთ და 7 დღით ციხეში დატუსაღება მიესაჯა.

ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრათ, ნაცვლათ გაბაშვილისა, რომელმაც უარი განაცხადა კენჭის ყრაზე, შინ ხმით წინააღმდეგ 12 ხმისა ამოურჩევიათ გ. ი. გველესიანი.



საადგილო მამულო გადასახადი თფილისის გუბერნიამი შეადგენს 72,268 მან, 16 კ. წელიწადში, რომელიც მაზრებზე ასეა განაწილებული: თფილისის მაზრა—7607 მან. 35 კაპ., გორისა—20, 745 მან. 42 კ., ღუშეთისა—3,868 მან. 83 კ., ბორჩალოსი—18, 712 მ. 9 კ., ახალქალაქისა—2 460 მან. 14 კაპ., თიანეთისა—1549 მ. 74., ახალციხისა—6947 მ. 91 კ., თელავისა—4,319 77 კ., და სიღნაღისა — 5996 მ. 91.

რკინის გზების უმთავრესმა მმართველობამ განმარტა, რომ რკინის გზებზე მომხდარ უბედურების დროს დაჭრილ და დაშავებულ შტატის ტენნიკებსა და მუშებს, სანამ არ მორჩებიან, უნდა ეძლიოს სრული დღიური ჯამაგრი: შტატს გარეშე მყოფ მსახურთ კი ჯამაგირი მიეცემა რკინის გზის გადაწყვეტილების თანახმად.

ჩვენ მივიღეთ ახლათ გამოცემული წიგნაკი „მუშათა კითხვა უწინდელ და ახლანდელ დროში“ თხზ. ბერნის უნივერსიტეტისა პროფ. რეისხბერგისა, ნათარგმნი ევგენია სოლორაშვილის მიერ. წიგნაკი მეტათ საინტერესოა, ბოლოში ჩართული აქვს უცხო სიტყვების ჩინებული ახსნა, შეიცავს 71 გვ. და ღირს 17 კ. უფრო დაწვრილებით შემდეგ ნომერში გავაცნობთ ამ წიგნაკს მკითხველებს


„კვალის“ კორესპონდენციები

**ს.** ბანძა (სამეგრელო) წელს შარშანდელთან შედარებით ნაკლები მოსავალი იყო, როგორც სიმინდის ისე ადკის დვინის. ამის მიზეზი განხილეთ უამინდობა. ბუნება თითქმის დატინდა საბრალე ბანძელს: როცა წვიმა ეჭირვებოდა ეახებს მაშინ სიციხეები იდგა და როცა კარგი ამინდები იყო საჭირო — წვიმდა. ბანძა ნიადაგის ნაყოფიერებით, მოსავლის სიუხვით, მოგებისუნებთ, ისე სხველ-განთქმული არ იყო, რომ ასეთი ბუნების ცვალებადობა, უღმობლობა ღრმად არ დაჩნეოდა. ეჭვს გარეშე, რომ რამდენიმე ოჯახი გამოცდის შიმშილის საშინელებას. საშუაზრო კიდევ ის არის, რომ ასეთ არა სასურველ მდგომარეობას ხშირად განიცდის ხოლმე ეს სოფელი. აბრეშუმის მოსავალი წელს შარშანდელზე ცოტა მეტი იყო და ფასიც უკეთესი ჰქონდა—16 მ. ავიდა. თუმცა მარსელის ბაზარზე ჩვენებური ზარკის ფასი ძალიან დატეხილია, მაგრამ, რაც უნდა იყოს, მაინც შეიძლება დარჩებიან უფრო მოკლებული და ორი-სამი თვის შემდეგ კი ძალ ოქროებს ჩაიხრიალებენ ჯიბეში, მაშინ როდესაც ბანძელი უფრო შეგნებულნი რომ იყოს და ზირდაზირ უფურცადეს ცხოვრებას, ეს ოქროები მის არა სანატრელ ცხოვრების გაუმჯობესების საქმეს მოხმარდებოდა. მარა სანამ ეს ასე იქნებოდეს მანამ ბევრი დრო გაივლის. მეაბრეშუ-

მეობის შემდეგ დიდი ადგილი უჭირავს მეჭათეობას, რომელსაც ჭირი რომ ხან და-ხან მიწასთან არ ასწორებდეს და ამით სოფელს არ აფრთხობდეს, მეაბრეშუმეობას საკვებობის მოტანის მხრით, დიდათ გაუსწრება წინ, ამისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ამ სენის წინააღმდეგ რამე ზომების მიღება, რათა მეტი ენერგიით, გუდმოადგილებით მოჰკიდონ ხელი ამ დარკს მეურნეობისას. კარგათ მახსოვს, არც იმდენი ხანია, რაც კვერცხით მოვაჭრე ეოფელივე დირსება მოკლებულ კაცათ ითვლებოდა. ახლა კი სანატრო მოქალაქეთ გადაიქცა და არც არავის მოსდის თავში მისი ფეხ-ქვეშ გათეფვა. ბანძელს გამოაქვს ურთავკამი გასასაღებლათ ნახევარ მილიონამდე კვერცხი ეოფელ წლადით, რომლის ფასი ხან-და-ხან 1 მ. 12 კ. ადის. კვერცხს უცხოელები ჰყიდილობენ, რომელნიც მთელი ხომალდებით აგზავნიან გერმანიასა და ინგლისში. საქონლის მოშენებას, შედგომებას და მეცხვარეობის განვითარებას დიდათ აფერხებს თავისუფალი ადგილების უქონლობა. მეფურტეობაც წინეთ ძალიან გავრცელებული ეოფილა, შემდეგ, რადაც მიზეზით მთლათ აღმოფხვრილა.

დასასრულ, ბანძელებისათვის საჭირ-ბოროტო კითხვათ გადაიქცა სამრევლო სასწავლებლის ბედი. როგორც შარშან ვწერდით „კვალის“ მე-39 ნომერში სოფლებს 2900 მ. შემწეობა უნდა აღმოეჩინა სასწავლებლისათვის, რომლებმაც მიუტყვებელი გუდცივობა გამოიჩინეს და ფულის შემგროვებებს უარით ისტუმრებდენ სახლიდან და ურცხვათ გაიძახოდენ, არ გვინდა სკოლა: უკეთეს მომავალზე ეოფელივე იმედი დაეკარგებოდა კაცს ისეთ ველურ ამბავს ჩადიდდენ. რამდენათაც ჯიუტობდენ სოფელები იმდენათ მეტი ენერგიით მოქმედებდენ მეთაურნი, მაგრამ მიაუარე ცერცვი კედელს! ვერც მუდარით, ვერც მუქარით რომ ვერაფერს განდენ, ისესხეს საჭირო თანხა ერთ ვისმესკან на свой рискъ и страхъ-ზე და წარადგინეს დანიშნულებისამებრ. საქმე ევვლას ამით დაბოლოებული ეკონა და დღესასწაულობდენ ტარტარუნულ გამარჯვებას. ამ დროს ისეთი თავზარ-დამცემი ამბავი მოვიდა სასწავლებლის შესახებ, რომ ევვლა ააშოფოთა, გააკვირვა, დიდი თუ ზატარა, მხურცი გინდ ახალ-გაზდა ფეხზე დაეყენა და აქამდის თუ ორ მანეთს ვერ გამოამეტებინებდი, ახლა სამაგიეროთ თუმნობით გადადიოდენ თუ საქმით არა სიტყვით მაინც, ოდონდ ქვეყნის თვალში არ შერცხვნილიყვენ. ამ სასწავლებლის სულის ჩამდგმელი, მამა ანტ. კეკელია, ხომ საიმქვეყნოთ იყო გამზადებული, ისეთი მთაბეჭდილება მოახდინა მასე. იმდენ შრომის, იმდენი ცილის-წამება დამცირების შემდეგ, ამ სასწავლებლის ხელიდან გამოგლეჯა მისთვის, ჭეშმარიტათ აუტანელი უნდა ეოფილიყო! საქმე იმაში განხვავთ, ბატონებო, რომ ამ ნაირ ტიპის სასწავლებელი თურმე უნდა არსდებოდეს მიუფავ, მიერეშულ ადგილას. ხოლო ბანძა კი თურმე განათლებული სოფელი ეოფილა! მაშასადამე, აქედან გადატანილი უნდა იქნეს სასწავლებელი





უფრო უკან ჩამოხრებილ სოფ. ვიწიაშია, თუმც თუ ჩამოხრენაზე მიდგა საქმე, შეიძლება მოინახოს უფრო დაქვეითებული კუთხეც. ბანძის გოხებრივ-ქონებრივ მდგომარეობის კათვალისწინება ღვთის წინაშე, 1896 წელსაც შეიძლება, როცა აქ ამ სოფლის დაარსება გადაწყვიტეს და მას შემდეგ რომ უარმანული ნაბიჯი წარმატებისკენ, არ გადაუდგამს, ეს უბრალო მომავლადუმატ კი უწყის არა თუ უფლის შემდეგ ზიკუმბა. ძლიან მიკვირს, ნუ თუ თავიდანვე არ ჰქონდათ დასახელებული გინდ განსაზღვრული, თუ სად უნდა დაარსებულიყო ასეთი ტიპის სასწავლებელი, ან რისთვის უთუოთ აქ და არა ცხრა მთას იქით? თუ კი ჰქონდათ, აბა, ახლა რა დავაშავეთ ისეთი?! ბოროტი ენები მოგასხელებენ, ამ საქმეში ზირად ანგარიშებს უჭირავს საპატრო ადგილით, თვარა შარშან გურიაში რას მთარბებიუბდენ და წელს რათ შეტყაყეს მარშრუტით.

ბ ა.

**სოფ. ჭოლა (ზუგდ. მაზ.)\*** ამ სოფელში 13 ივლისს ხდება ხოლმე თემობა, რომელზედაც იკრიბება დიდ ძალი ხალხი. ერთ ამ გვარ თემობას დაესწრო თქვენნი უმთრწილესი მონა და ამის გამო ერთი არა სასიამოვნო ამბის მოწმე გახვდით. ამ ამბის მიზეზი იყო ერთი ვაჟბატონი, სახელათ ტაგუ შენგელია, რომელიც მოსაკლავათ გამოეკიდა თავისსვე საზოგადოების მცხოვრებს ჩაგუქარხავს, და მოკლავდა კიდევ, რომ ხალხს არ გამოეკლიჯა ხელიდან. შეიქნა საშინელი წივილ-კივილი, არეულობა, ქარხავა გაიქცა, შევარდა დუქანში და შიგნიდან ჩაიკეტა კარები. გამხრცებული შენგელიები მივარდენ და კარების შემტვრევას აზირებდენ თავისი ბოროტი წადლის შესასრულებლათ, მაგრამ ხალხი შემოესია და ძლივს ძლივობით აგვადინეს დამიანის სისხლის დაღვრას. ერთმა იქ მყოფმა შემდეგი სიტყვით მიმართა შენგელის: არა გრცხევიან, რომ მაგოდენა კაცი ბავშს მისდევ მოსაკლავათ? გთხოვ ეს ბავშვი მე მიხატოყო. მაგრამ ეს სიტყვა არ იამა შენგელის, და ამ სიტყვების მოქმედზედაც მოინდომა ჯიჯის ამოყრა; მაგრამ ვერც ეს შეასრულა. შემდეგ მეც მომინდომა ასე მოქცევა, მაგრამ ხალხმა არც ეს დაანება. დამდენიმე დღის შემდეგ მე და ზოგიერთმა სხლდ ზირუმბა უფველივე ეს ვუაშბეთ ადგილობრავ ბოქაულს.


ი. ბ. კვარაცხელია.

**დ. ეგირილა.** სწავლა-განათლების მხრივ, შორაზნის მაზრა უფრო ემსგავსება ლეჩხუმ-რაჭის მაზრებს, ვიდრე ქუთაისისა, ოზურგეთისა, სენაკისა. და ზუგდიდისა. ამდენა დიდ მაზრაში, როგორც შორაზნისა, არის

მხოლოდ ოთხი ორ-კლასიანი სასწავლებელი: ეგირილისა, აღისუბისა, ხარაკაულისა და კინხისა. ამ სოფლებში, ზირველ ორს ინახავს ხაზინა და დანარჩენს საზოგადოება. დანარჩენ საზოგადოებებში რამდენიმეში სულ არ არის სკოლა და რამდენიმეში ერთ კლასიანი სამინისტრო ან სამრეწველო-საკვლეისი სკოლებია. ოზურგეთის მაზრაში, კარდა იმისა, რომ არსებობს სასულიერო ოთხ-კლასიანი და სამოქალაქო სასწავლებლები, თითქმის უფველ მოზდილ საზოგადოებაში არსებობს თითო ორ-კლასიანი სასწავლებელი და თვით სამკითხველო. დანარჩენი მაზრებიც: ზუგდიდისა, სენაკისა და ქუთაისისა არ რჩებიან უკან ხსენებულ ოზურგეთის მაზრას და დიდი სისწრაფით შიისწრაფიან წინ სწავლა-განათლების შესაძენათ. ქუთაისის მაზრაში, თითქმის ყველა საზოგადოებაში, ყველა ერთ-კლასიანი სასწავლებლები გადააკეთეს ორ-კლასიანათ. დ. ხონმა, ამ მხრით, ყველას გაუსწრო წინ: კარდა არსებულ სამსწავლებლო სემინარიისა, გასხნეს სამოქალაქო სასწავლებელი, საქალბო და სხვა... როგორც ამბობენ, ზოგიმნახიას განსხასაც მალე აზირებენ. არ ძინავს არც კულაშის საზოგადოებას, რომელიც უკვე შეუდგა თავისი ორ-კლასიანი სასწავლებლის სამოქალაქო სასწავლებლათ გადაკეთებას და იმედია სხვა საზოგადოებებიც წაბადვენ ამ შეგნიერ მაკალითს. აშკარაა რამდენათაც ყველა ეს სასიხარულო არის, იმდენათ სამწუხაროა დ. ეგირილის და მთელი შორაზნის მაზრის დაუდგრობა სწავლა-განათლების შესახებ. არა მარტო უბრალო ხალხს, ჩვენ დ. ეგირილის მოთავეებსაც სდათას ძილიდან კიდევ ჯერაც არ დაკვირწვეთ თავი, ისე იმ ორ-კლასიანი სასწავლებლის ამაჩ ვართ, რომელიც მართებლობა ხაზინის ხარჯით ოცდა-ხუთის წლის წინეთ დაანრსა შორაზნის მაზრისათვის. ნუ თუ სათაკილო და გასაკიცხი არ არიან ის შეძლებული ზირნი დაბა ეგირილისა, რომლებსაც შეუძლია დახარჯონთ რამდენიმეათასობით, როგორც მაგალითათ ბ. ხუბინიძემ ქნა: მარტოკა აკოდ. ეგირილაში ეკლესიის დირებული არა ხაკლები სამოცი ათასი მანეთისა. სხვებმაც რომ ასევე გამოიმეტონ სულ სხვათრივ წავიდოდა სწავლა განათლების საქმე. ამ საქმეში რამდენიმე დანაშაული მიუძღვის თვით ზედა-მხედველს დ. ეგირილის ნორმალიური სასწავლებლისას, რომელიც რადაც მიზეზის გამო არ ცდილობს თავისი სასწავლებელი სამ და ოთხ კლასიანათ განადოს. მას კარგი განწყობილება აქვს აქაურ მდიდრებთან და ამ საქმის მოგვარება ადვილათ შეუძლიან. უტყველია დ. ეგირილის ბეგრ მვედრს კარგათ ესმით რამდენათ ძვირთვისა, როგორც მათთვის, აგრეთვე მთელი შორაზნის მაზრისათვის დ. ეგირილაში რიგიანი სავაყო და საქალბო სასწავლებლის დაარსება და არც უმეტესობა დაზოგავს თავს, რომ შემწეობა აღმოუჩინოს, თუ კი ვინმე რიგიანი მოთავე გუდით ხელს მოჭკიდებს ამ ხალხისათვის საბედნიერო საქმეს.

\*) ეს კორესპონდენცია პირველათ „ივერიის“ რედ. კციაში იყო გაგზავნილი, და რადგანაც იქ არ დაიბეჭდა, ამიტომ დავვიარდა მისი გამოქვეყნება. ავტ.





# საზღვარ-გარეთ.

თის მფარველობის ქვეშ დატოვოს, რაც ურთველ ქვეყნისათვის სასარგებლო იქნებაო.

**ჩინეთი.** ჩინეთის აწეწილ-დაწეწილი საქმეების მიწყობ-მოწყობა, რაიცა ევროპის დიპლომატებმა და ჯარებმა იტვირთეს, მეტათ გვიანობს. დღემდის თითქმის არაფერი არ გაუკეთებიათ ამ გზაზე და ძალიან საექვია ახლო-მომავალში გაკეთდეს. და ეს იმიტომ რომ აქ კაცმა არ იცის ვინ არის ქვეყნის მმართველი და ბრძანებელი. ევროპიელ ელჩთა ბრძანებას ჩინეთის მოხელეები ეურჩებიან, ხოლო ამ მოხელეთა განკარგულებას—ევროპის ელჩები. და ასე არის გამართული დაუსრულებელი შეჯახ-შემოჯახება. ევროპა თხოულობს ამბოხების მეთაურთა სასტიკათ დასჯას. ჩინეთის მთავრობას კი სურს იმათ მსუბუქათ მოეპყრას. როგორც ჩანს თვით ამ მთავრობის ნაწილთა შორისაც განხეთქილებაა. მეფე უფრო ევროპიელთ მომხრეობს, მარა ძალა არ აქვს, ხოლო ქვრივი დედოფალი ევროპიელთა წინააღმდეგია და ძალაც მას აქვს. როგორც უკანასკნელი დებეშა იუწყება, მეფეს საიდუმლოთ უცნობებია პეკინში მყოფ ელჩისათვის, მე ძალიანაც მინდა მანდ მოვიდე და საქმეები დავაწყო, მაგრამ არ მიშვებენო. და არ უშვებენ იმიტომ, რომ დედოფალს შორიდან უფრო ადვილათ შეუძლია მეფის სახელით ბრძანებები გამოსცეს და ევროპიელნი შეცდომაში შეიყვანოს. როგორც უკანასკნელი დებეშა იუწყება, ლიხუჩანგს მიუღია მეფისაგან დებეშა ელჩისათვის გადასაცემათ, რომელშიაც ჩამოთვლილია რომელ დამნაშავეს, როგორ დასჯიან. ლიხუჩანგმა გადასცა ეს ღებეშა დანიშნულებისამებრ და თან გამოაცხადა, იმპერატორი სასტიკათ შემუქრება თუ ამ პირობაზე ვერ დავიოანხმეთო. პირობა კი ერთიანათ ვწინააღმდეგება ევროპიელთა წინადადებას. მაგ. დებეშის ძალით, ჰერცოგ ლიანს ჩამოერთმევა მხოლოთ ჯამაგირი და ერთი კლასის ჩინი; ჩოა-ჩის ჩამოერთმევა ჩინი, მარა სამსახურში რჩება, კიდევ ვილაცას ებრძანება განმარტებით ცხოვრება და ცოდვებზე ფიქრი და სხ. ერთი სიტყვით, ყველა მეთაურნი ამბოხებისა მსუბუქათ ისჯებიან, ხოლო ევროპიელნი კი მათი სიკვდილით დასჯას თხოულობენ. რა ნაირათ შეთანხმდებიან და როდის გაათავებენ ამ მოლაპარაკებას—ძნელი გამოსაცნობია. ამ დავაში საშიშარია, კიდევ არ აღდგეს ხალხი ევროპიელთა წინააღმდეგ.— ინგლისურ გაზეთ „ტაიმის“ სიტყვით, რუსეთის ხომალდების აღმირალი აღექსევეი შეეკითხა ლიხუჩანგს მანჯურიას შესახებ და მოიწოდა დაარწმუნოს მთავრობა, რომ ეს პროვინცია რუსე-

**ტრანსვაალი.** ტრანსვაალში კიდევ არ დასრულებულა ომი, თუმცა ომის ველიდან იშვიათათ მოდის რაიმე ცნობა. კრიუგერი წამოვიდა ევროპაში და საცაა კიდევაც მოვა მარსელში, იქიდან პირდიპირ წავა ჰოლანდიაში. ფრანგები ძალიან ემზადებიან კრიუგერის დასახვედრათ და ბურების სასარგებლო მანიფესტაციების მოსახდენათ. მარსელის ქალაქის სოციალისტურ თვითმმართველობამ უარი განაცხადა ოფიციალურათ ამ დახვედრაში მონაწილეობის მიღებაზე იმ მიზეზით, რომ ინგლისთან დამოკიდებულება არ გავვიმწვავდესო. სამაგიეროთ, პარიჟის ნაციონალისტურ თვით მართველობამ გადაწყვიტა კრიუგერი პარიჟში დიდი ამბით მიიღოს და საბჭოში დღესასწაულობა გაუმართოს. აგრეთვე სხვა ქალაქებშიაც შედგა კერძო კომიტეტები კრიუგერის პატივსაცემათ. მაგრამ, როგორც უკანასკნელი დებეშა იუწყება, კრიუგერს უარი განუცხადებია ყველა ამაში მონაწილეობის მიღებაზე და ამით ყოველივე დაწყობილება იშლება.

**ინგლისი.** ინგლისში უკანასკნელ კვირაში მოხდა ქალაქთა და სოფელთა თვით მართველობების არჩევანი. ამ ნიადაგზე პოლიტიკური კითხვები დიდ როლს არ თამაშობენ, განსაკუთრებით დაბა-სოფლებში. სამაგიეროთ დიდ ქალაქებში ხმოსანთა პარტიობა წარმოებს პოლიტიკური კითხვების გარეშემო და აი ახლანდელ არჩევნებზე ასეთ ადგილებში ისევ კონსერვატორებს გაუმარჯვნიათ. ლიბერალები ყოველგან უმცირესობაა. აშკარაა, სამხედრო პარტია იმარჯვებს ყველასფეროში და მის იმპერიალურ პოლიტიკას მტკიცე ნიადაგი ეძლევა. რა არის ეს ინგლისის მთავრობის იმპერიალიზმი? ეს კითხვა ამას წინეთ ჩემბერლენმა ერთ თავის სიტყვაში ასე განმარტა: „ჩვენ ახლა ვადგებით ახალ გზას, ჩვენი ისტორიის ერთი თავი დავასრულეთ და ვიწყებთ მეორე თავს. და აი ამ თავს, რომლითაც ჩვენ გადავდივართ მეოცე საუკუნეში, ჰქვია „იმპერიის ერთობა“. მართალია, თუ უკან მივიხედავთ დავინახავთ, რომ ძველათაც ვადექით იმპერიალისტურ გზაზე, რომელიც მერე უარყავით, მაგრამ მაშინდელ და ახლანდელ იმპერიალიზმს შორის დიდი განსხვავებაა. წინანდელ იმპერიალიზმი იყო უფრო რომის ნიმუშზე ჩამოქნილი, ე. ი. ისეთი რომელიც აგებული იყო ქვეყნების დაპყრობაზე, მათ ძალათ დამონებაზე და ყოველივე სიკეთის იქიდან გამოტანაზე. და აი,





ეს გზა დავადგეთ, დავადგეთ ამერიკის რევოლუციის წყობილობით, რამაც ჩვენ დიდი გაკვეთილი მოგვცა. ამას მოჰყვა რეაქცია, ახალშენებს მივანიჭეთ თვით მმართველობა, საკუთარი პარლამენტი და ხშირათ კიდევაც ვნატრობდით, ნეტავ სულ მოგვეცილდებოდნენო. აი ამ გზას ვადექით დღევანდლამდე. ახლა კი შეიცვალა ხალხის შეხედულობა და ეს უფრო ადრე, ვინემ შეხედულობა მართველთა. ხალხს გაჰყვა მთავრობაც და აი ახლა ორივე იმპერიალისტები ვართ! ჩვენ უკვე დავივიწყეთ „შიში სიდიდისა გამო“; ხალხმა, დემოკრატია უკვე შეიგნო ბუნება და შესაძლებლობა ჩვენი იმპერიის სიდიადის. ბატონებო, ვანა ქვეყანას ოდესმე უნახავს ჩვენი იმპერიის მზგავსი იმპერია? ეს შეიცავს ქვეყნის უდიდეს ნაწილს 400 მილიონი მცხოვრებით, რომელთა შორის არის ყოველ ნაირი რასის და კლიმატის ხალხი. ახლა მოიგონეთ ამათ ნაწარმოებთა სხვა-და-სხვაობა, მათი ერთმანეთთან დამოკიდებულობა. და აი, ახლა ჩვენ დავინახეთ, რომ ყველა ეს ხალხი გადაიქცა ერთ ოჯახათ, დავინახეთ რომ მათი სიკეთე ჩვენი სიკეთეც არის, ჩვენი სიძლიერე მათი სიძლიერეც. ჩვენ მათთან და ისინი ჩვენთან შეკრული ვართ საერთო ინტერესით. რა ვიქნებოდით ჩვენ უიმპერიოთ? არაფერი, მხოლოდ ორი პატარა კუნძული დიდ ძალი მცხოვრებლებით. რა იქნებოდნენ ისინი უჩვენოთ? მართალია ერები, მაგრამ მდიდარ ეროვნულ ცხოვრებას მოკლებულნი, ერთმანეთისაგან დაცილებულნი და ასე დაუძღურებულნი ქვეყანას ისე პირდაპირ ველარ შეხედავდნენ, როგორც ახლა. მაშასადამე ჩვენ შეერთებული ვართ ისეთი რამით, რაც ნივთიერ ინტერესზე უფრო ძლიერია, შეერთებული ვართ გრძნობით, საერთო იდეალით, საერთო ლტოლვილებით. აი ჩვენი იმპერია, იმპერიალიზმი ამ საერთო ნიადაგზე, ერთმანეთის პატივისცემაზე დაყრდნობილია... — ინგლისში სამხედრო რეფორმები დაიწყება მომავალი წლის პირველ იანვრიდან.

არა აქვთ რაიმე მიზეზი ერთმანერთი შეიძულონ და ვნება მიაყენონ. ექვი და განხეთქილება ყოველთვის ანებს მუშა-ხალხთ, რომელთა ინტერესი შეიძლება უზრუნველ-ყოფილ იქმნეს თანხმობით და მშვიდობიანობით. მაშასადამე თქვენი და ჩვენი ინტერესი ერთი და იგივეა. ომი საფრანგეთს და ინგლის შორის გაანადგურებს ორივეს მრეწველობას და მთელი ვაჭრობა გადავა სხვა ქვეყნების ხელში... თითქმის ასი წელიწადია ჩვენ შორის მშვიდობიანობაა და ამ ხანის განმავლობაში ჩვენი ერთმანეთთან აღებ-მიცემობა უმაღლეს ხარისხამდის გაიზარდა. შარშან მაგ. ბრატანიამ იყიდა ერთი მილიარდი, 350 მილიონი ფრანკის საფრანგეთის საქონელი, ხოლო საფრანგეთმა თავის მხრივ იყიდა ჩვენში 556.925 000 ფრანკის საქონელი. ფინანსისტები ომში ედებენ წყაროს დიდი პროცენტებისას და ამისათვის გამოიწვევენ ხოლმე ომს, მაგრამ ხალხს კი არაფერი აქვს აქსაძებარი, გარდა მწუხარებისა და ტანჯვისა. ამისათვის მოგმართავთ თქვენ, შეერთებული ძალით ჩავშალოთ განზრახვანი იმათი, ვინც ცილისწამებით და მოგონებით ორივე ხელს ერთმანეთს ატაკებს და მათ შორის მტრობას აგდებს... და თუ რაიმე ისეთი უკმაყოფილება ჩამოვარდება, რომ თვითონ მმართველები ვერ მორიგდებიან, დეე მიმართონ მედიატორულ სამართალს, რომელიც შარშან საერთა შორისო კონფერენციამ გააგაში შექმნა. თუ ჩვენ მოვალეობას არ შევასრულებთ. ადვილათ შესაძლებელია ახალ საუკუნეში შემადრწუნებელი ამბავით ჩავაბიჯოთ ფეხი. ჩვენ არავითარი მიზეზი არა გვაქვს თქვენ გვომოთ, თქვენ არავითარი მიზეზა არა გაქვთ ჩვენ გვეომოთ მაგრამ თქვენც და ჩვენც გვაქვს სერიოზული მიზეზი თვალ-ყური ვადევნოთ იმათ მოქმედებას, რომელთაც სურთ ერთმანეთს დაგვატაკონ და ვებრძოლოთ. დრო არის, ხელი-ხელს მივცეთ და ერთათ გამოვაცხადოთ: შრომის უდიდესი ინტერესია მშვიდობიანობის დაცვა!“

**გერმანია.** გერმანიის რეისტაგი გაიხსნა იმპერატორის სეფე-სიტყვით, რომელიც შეეხება განსაკუთრებით ჩინეთის ამბებს და სხვათა შორის ამბობს შემდეგს: „გერმანიის და გერმანელთა ინტერესი ჩინეთში მცირეთ არ უნდა დავაფასოთ. გერმანელთა ვაჭრობა იქაურ თავისუფალ ბოლოზებში მხოლოდ ინგლისის ვაჭრობას ჩამორჩება. არეულობამდის ის მეტათ გაძლიერდა, ახლა კი დაცვა არა მარტო ტიანძინში, სადაც გერმანელ ვაჭარს საპატიო ალაგი უჭირავს, არამედ სხვა ადგილებშიაც. ჩინეთის ყოველი მხრიდან, ყოველი ბოლოზიდან გერმანელთა ღრტყინვა მოისმის საქმეების შეჩერების

**საფრანგეთი.** როგორც „კვალის“ უკანასკნელ ნომერში მოვიხსენიეთ ინგლისის ტრადუციონებმა საფრანგეთის მუშებს დელეგატები გამოუგზავნეს და თან ადრესი გამოატანეს მათთვის ჩასაბარებლათ. ეს ადრესი უკვე ჩაბარებულ იქმნა პარიზის შრომის ბირჟის დარბაზში. აი რა სწერია ამ ადრესში: ინგლისის და გერმანიის შოვინისტური გაზეთები ხმაურობენ ამ ორი ქვეყნის ხალხის გადასაკიდებლათ და მტრობის ჩამოსაგდებათ. „ეს ხმაურობა ხანდახან ხალხის ხმაურობა ჰგონიათ, მაგრამ არც საფრანგეთის და არც ინგლისის ხალხთ



და კრიზისის გამო. გერმანელთა რკინის გზები და იჯარით აღებული მთა მარდები შანტუნგის პროვინციაში, რომლის ჩქარ განვითარებაზე დამოკიდებული კაოჩაუს განვითარებაც, შეჩერდნენ. ამ საქმეში ჩადებული გერმანიის მილიონები, საშიშარ მდგომარეობაშია. ჩატუნგში გაგზავნილი გერმანიის მუშები უსამუშაოთ და უსახსროთ არიანო\*. ამისათვის საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა იქნას აღდგენილი წესიერება ჩინეთშიო. ბულოვმა რეისტრატს მოთხოვა ჩინეთის საქმეების გამო დახარჯული ფულები უკანა რიცხვით დაამტკიცოს. კონსტიტუციის ძალით მთავრობას ნება არ აქვს რაიმე ხარჯი გაიღოს რეისტრატის ნება დაურთველათ. და აი ეს წესი დაირღვა წელს. ამისათვის დეპუტატებმა პასუხისმგებლობა მოთხოვეს ბულოვს და იმან იმით იმართლა თავი, რომ მე ახალი კაცი ვარ და ყოველთვის კონსტიტუციის თანხმით ვიმოქმედობო.

## ჩვენი სახიობა.

ზუთშაბათს, 9 ნოემბერს, ქართულ თეატრში წარმოდგენილ იქნა ბ. ს. სვიმონიძის საბუნებისათ „ორი გმირი“ 3 მოქმედების ისტორიული დრამა გურიის ცსფრებიდან ვ. გუნიასი და კომედია „იარია მონასტერი“. „ორი გმირი“ ახალი დაწერილია და პირველად არის სცენაზე წარმოდგენილი. ავტორს ამ ზიესის დაწერის დროს უხელმძღვანელია ფრანგული ზიესით (ფ. კოპსის), აუღია იქიდან სიუჟეტი, მოქმედთა პირობის მდგომარეობა და განწყობილება, ხოლო შინაარსი კი გურიის წარსული ცხოვრებიდან ამოუღია და ასე ზიესა კახცა და ეფექტებით სავსე გამოსულა. „ორ გმირში“ მართლაც ორი გმირია გამოყვანილი, ესენია თ. ლევან გურიელი (გამურელიძე) და მისი შვილი ტარიელი (სვიმონიძე). ლევანი სახელ-განთქმულია თავისი სიუჟისათ და მტრებსე სამაგალითო გამარჯვებით. ის არის გურიის ჯარის მხედარ-მთავარი და მთავრის მამიას (კანდელაკი) მარჯვენა ხელი. ახალ-კაზდა ტარიელსაც ახლავს მამის სიმხნევე და სიუჟისადე, ისიც გულადი და გაბედული მეომარია. ლევანს მოხუცებაში მოუკვდა პირველი ცოლი, დედა ტარიელისა, და შეერთა ახალ-კაზდა აფხაზის ქალი, შერვაშიძის გვარისა, სახელათ დედუნან (კარგარეთელი). ამ ქალმა სრულიად მონიბდა და დაიმანა ლევანი. ეს გმირი მის უურ-მოჭრილ უმით ხდება და მის ბრძანებაზე ციბრუტებით ტრიალებს. დედუნანი ფიქრებს: ჩემი ქმარი პირველი კაცია გურიაში, მის ხელთაა ძალა და ძლიერება, ხოლო მთავრობა, კი მამიას უჭირავსო. არა, ეს ასე არ შეიძლება, ლევანი უნდა გა-

ხდეს მთავრათ და მე თავს დავიდგა მეუფური გვირგვინიო. ეს აზრია, ეს ზეტივ-მოყვარეობა ისე გაიტაცებენ დედუნანს, რომ მისათა ამისათვის ყოველივე საშუალება იხმაროს. და აი, ამ დროს ხვანთქარის ჯარი მოადგა კარჩხალის მთას გურიაში გადმოსასვლელათ და გურულეების ასაკლებათ. ეს მთა შესანიშნავია თავისი ბუნებრივი სიმაგრით და მიუდგომლობით. აქ განერებული ათიოდე უარული საკმარისია, რომ მთელი მხედრობა უკან გააბრუნოს. ხვანთქარმა ეს იცის და ამიტომ სურს მოტყუებით გადაიყვანოს ჯარი კარჩხალზე. ამისათვის ის გზავნის ჯაშუშს გურიაში და თან ატანს ფირმანს, რომლითაც გურიის ტახტს პირდება იმას, ვინც მის ჯარს გურიაში შემოიყვანს. ჯაშუში, ბადათარ-ალი (შათირიშვილი) შედის დედუნანთან და უხვევებს ფირმანს. დედუნანს ეს ძლიერ მოსწონს და ეუბნება ლევანს, აი ახლა დრო გაქვს გახდე მთავარი გურიისაო. ლევანი უარობს ქალი აუკედრის, არცხვეს, ახსენებს მამიას-კან წყენას და ბოლოს ითანხმებს. ლევანი პირობს ახლევანს ცოლს მე თვით წავალ კარჩხალის მთაზე და მისმლოა ჯარს შემოიყვანო და ამისთანავე ნიშნათ პირობისა ფირმანს თავისი გვარის ბეჭედს ასვამს და დედუნანს უბრუნებს. ეგვლა ამ ღანჯაკს უურს უკლებს ტარიელის ძიძის-შვილი, ახალ-კაზდა ქალი დესხივე (მდივანი), რომელსაც გატყუებით და თან მოკრძალებით უყვანს ტარიელი და დემეროსავით მასზე ღოცულობს. აი ეს ქალი ტარიელს უმუდავებს ეგვლაფერს. ტარიელი სასწრაფო კეთილუბანს ეძღვევა, არ სჯერა, მაგრამ დესხინეს წყალობით ის მიუყურებს მამის და დედი-ნაცვალის ღანჯაკს და თავისივე ურით ისმენს ჭეშმარიტებს. ტარიელი აღეჯუბულია, ის ტირის, დასტირის მამას, იმ მამას, რომელსაც ხალხი გმირათ სახავს და ახლა კი მოდალატეთ იტყვევს. მან გადასწყვიტა დაიხსნას მამის ასეთი დამცირება, შთამომავლობას გადასცეს მისი სახელი და დიდება. მაგრამ როგორ? რით? ლევანი წავიდა კარჩხალის საყარულაზე და როგორც უბრალე უარული გამოსავალზე გაჩერდა. აქურ უარულეს ნაბრძანები აქვთ, როგორც კი მტერი გამოჩნდეს კოცონი ანთეთ; ამით მთელ გურიას ეცნობებოდა გატყუება. ლევანი რასაკვირველია, კოცონს არ ანთებს და ასე მტერს ჩუმათ შემოიყვანს გურიაში. ლევანი მარტო მარტო უარულობს, სხვა მტველები დაითხოვა. და აი შუადმისას გამოჩნდება ერთი კაცი და მას მიუახლოვდება. ეს არის ტარიელი. ტარიელის კითხვაზე, აქ რა გინდა, ლევანი იბნევა, ზასუს ვერ ამბობს, მამის შვილი უცნალებს რომ მან ეგვლაფერი იცის და ეგვადება ნუ შეიქნება მოდალატე, ნუ დაჯგომოს თავისი სახელს, თავის წარსულს. მამა არ თანხმდება, მე სიტყვა მაქვს მიცემული და სიტყვა ჯერ არ გამოიტყნიაო. ტარიელი მირბის კოცონის ასანთებათ, ლევანი არ უმბებს, სახამ ცოცხალი ვარ არ ავანთებინებო. აი აქ ტარიელს გაუკვდა თავში მამის მოკვდა და ამით დასნა მამის და ქვეყნის. შვილი





ალფონს დოდეს ძეგლი (ქალ. ნიმში).

და მამა ერთმანეთს მივარდება ხმლებიან, მამა სასიკვდი-  
ლოთ იჭრება და იქვე კვდება. შვილი იჩივებს მის წი-  
ნაზე და მწარე ტრემლით ტირის, ამასთანავე ანთებს  
კოცონს და მიდის. ცეცხლის დანახვაზე მტვერები და  
საღვი ივრებიანი და ხედავენ ლევანს კვდარს. და აი  
გავარდა ხმა რომ გვირს ლევანს ოსმალი მივხარვია და  
მოუკლავს, მაგრამ მას კოცონის ანთება მაინც მოუ-  
სწრიაო. ლევანის სახელი კიდევ უფრო გაიზარდა და  
მის საფლავის წინაშე ხაღვი სშირათ ივრებებს სა-  
ლოცავათ. საიდუმლოება კი მხოლოდ ტარიელმა იცის.  
მაგრამ მას არ ასვენებს ის, რომ მამა მოკვდა, მამის შვე-  
ლია. ამ თქმამა ის სრულიად ჩამოადრნო, გააყვითლა,

დასუსტა, ამშირათ სშირათ მარცხდება. უგელას უგვირს,  
რა მოუვიდა ტარიელს და გავარდა ხმა, ის აგებს ომე-  
ბში, იმიტომ რომ გვდალატობსო. ამ ხმას ხელს უწყობს  
დედი-ნაცვალის, რომელსაც ჭირით ეზარება ტარიელი.  
დესხინე იგებს უგელას ამას და ტარიელს ატეობინებს და  
თან დასძენს, შენ კი არა ხარ მოდალატე, მოდალატეობას  
საწყაღვი მამა შენა ეზირებოდაო. ტარიელი ამასე შეკ-  
რება და არწმუნებს დესხინეს რომეს ტეუილა, რომ მამამ  
ცოლი მოატეუა, რაიცა იქიდან ჩანს, რომ მან  
თავი შეაკვია მტერთ თვით კარხხლის მთაზეო. ამასთან-  
ნავე ზირობას ადებინებს ქაღს, რომ ის ამ ამბავს არავის  
არ გაუმიღეს. ამ დროს კარხხლის მთას ისევ მოადგა






ასმაღლს ჯარი და დუღუ-ხანმა განიზრახა ტარიელს შესრულებინოს ის, რაც ლევანმა ვერ შესრულა. ის ტარიელს ნახულობს მამის საფლავთან და უჩვენებს ლევანის მიერ ბეჭედ დასმულ ფირმანს და ეუბნება, შენ მაინც ისარგებლე ამით, ხალხში მოღალატის სახელი გაქვს გაფარდნილი, მამია აღარ გწვამდის, დეე გადაუქნე ის და თვით დაიდგი მეფის გვირგვინიო. ტარიელი ჯავრობს, დეე-ნაცვალს არცხვენს, ავინებს და თან უმუღაფნებს, რომ ლევანი მან მოჰკლა, მაგრამ ამ მკვლელობაში თვითონ დუღუნანია დამნაშავე. ტარიელი მას სამაგიეროს გარდასცემს ზირდება, ქალი შურისძიებას აღუთქვამს და გაბრაზებული წასვლას აბრებს. ამ დროს სასაფლაოს ეზოში შემოდის თვით მთავარი მამია თავისი ამალით და ტარიელს ეუბნება: მართალია შენზე მეუბნებიან მაღალტყა, გამცემიაო, მაგრამ მე ეს არ მჯერა, არ მჯერა ლევანის შვილის დაღალტი და ნიშნათ მამია მე შენ გაბარებ ჯარების სარდლობასო. და აი, აქ წინ წამოდგება დუღუნან და მეფეს მოახსენებს: ტუუღათ არ გჯერათ ტარიელის მოღალატეობა, მე დავამტკიცებ, რომ ის გამცემიაო და საბუთათ უჩვენებს ბეჭედ დასმულ ფირმანს. მამია შეერთება, ხედავს ტარიელის საგვარეულო ბეჭედს. აბა რით შეგიძლია თავი გაიმართლო — ჰკითხავს მამია ტარიელს. ტარიელი ტირის, რა ქმნას არ იცის, თქვას სიმართლე მამა დაიდუნება, არ თქვას და თვითონ დაიდუნა და ისევ მამის დადუნვას თავის თავის დადუნვას არჩევს. — მე, მეფეო, არა მამებს რა თავის გასამართლებელი — უბასუხებს ტარიელი. ტარიელს ხელ-ფეხს შეუკვრენ და მამის საფლავთან საწამებლათ ხეზე მიაკრავენ. ამ დროს გამოფარდება დესპინე, მივარდება მეფეს და სიმართლის გამომუქავებას აბრებს, მაგრამ ტარიელ დაუძახებს, დესპინე ზირობა არ გასტყობ, ზირობაო და დესპინეც შედგება. მამ თუ ასეა, შენ ტანჯვას მე თვით მოუღებ ბოლოსო და იქ მდგომ დარაჯას უცებ დამბახას ამოძრობს და ტარიელს ესვრის. ტარიელი კვდება და მას დესპინეც თან მიჰყვება. მამია ამბობს: დეე, დემერძმა გასაჯოს მამა და შვილიო!

ასეთია ზიესა. როგორც ხედავთ დრამტიული მომენტები შიგ ბევრია და მაურობელებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. წარმოდგენის დროს ბევრი ტირიდა. ზიესის მთავარი ნაკლულეფანება ის არის, რომ ის მეტისმეტათ მოკლებულია გურულ ელფერს: მისი გურულობა მხოლოდ ტანისამოსის და სახელებისაგან ჩანს. დაარქვით იმ ხალხს რუსის ვინდ ფრანკის სახელები და ზიესას გურიისა არაფერი არ დარჩება. გურული განსვავებუელი ხასიათი, ტემპერამენტი, ზნე-ჩვეულება და სხ. ზიესაში არ არის. გარდა ამისა, ლევანი უცებ თანხმდება დუღუნანის წინადადებაზე, რაც ეწინააღმდეგება ლევანისებური კანის მსიხლოვების. მას დიდი სულიერი მღელვარება უნდა გაეგლო დათანხმებამდის. და აი ამ მღელვარებას არ ვხედავთ სცენაზე, მაგრამ რაც უნდა იყოს,

ზიესა ნამდვილ სცენიურია და ჩვენ რეპერტუარში საზოგადოებას დაიჭერს. საზოგადოებას ზიესა სურთოთ მოეწონა და, მე მგონია, ამ სეზონში კიდევ რომ წარმოდგენდენ მეორეჯერაც სიამოვნებით მოუსმენენ.

რაც შეეხება თამაშს, ბ. სვიმონიძემ მოულოდნელათ კარგათ ჩაატარა. ის ჩვენ ასეთი კარგი არც ერთ როლში არ გვინახავს. ის ძალიან მიუხედავად ტარიელის როლი და მისმა სულის კვეთებამ ბევრს დაავიწყა სცენა. გამურელიძე ძალიან სუსტი იყო ლევანის როლში, გურულობის მას სრულგობით არაფერი ეცნო. არც მიმხვრა, არც თავმომწონეთ ლაზარაკი — ერთი სიტყვით ის უფრო ჰგავდა „სამშობლოს“ სვიმონ ლენინიძეს, ვინემ გურიის თავადს ლევანს. არც შათირიშვილი ჰგავდა ჯაშუშს, ის უფრო ორატორობდა, ვინემ ჯაშუშობდა. არა უშავდა ქ. კარგარეთელს. ქ. მდივანს ეტყობა გაუმჯობესობა. მან შესძლო ზომიერების და თავის როლის შესაფერი მიმხვნის დაცვა. საზოგადოთ, ეს არტისტი ქალი დიდ იმედს იძლევა და საჭიროა მისი ხელმძღვანელობა და ურის გაცა. კიდევ უნდა ვუსაუბროდეთ ბ. რუისონს, ის სრულგობათ არ ცდილა ისტორიული ზიესა ისტორიულათ მოეწყო. მამიას ამაღას ვიდაც ბიჭბუჭები შეადგენდენ და ამითვე იტყობა, „დიდებულებიო! აბა რომელ სასახლეში შეიძლება 16—17 წლის უმაწვილები მოხუცი მეფის მჩხეკელი და დიდებულები ეფილიუვენ. არტისტებმა როლი კიდევ არ იცოდენ. ნეტავი როდის მოედება ბოლო ამ როლების უცოდინრობას? ძალიან გვიკვირს, რუისონი, რატომ ასე მსუბუქათ მოჰკვიდებია თავის ზიესას, და თუ ასე უმჯობეს თავისას, სხვისას როგორდა უნდა მოეხერხას?

წარმოდგენას ხალხი ბლომთ დაესწრო და მობენეფისეს საჩუქრები მიართვეს. არა ერთხელ გამოუძახეს აკრეთვე ზიესის დაშწერს, მაგრამ ამათ, ის სცენაზე არ გამჩნდა.



მ მ დ ი ბ ბ

ფეფეთვის ცეცხლზე ტრიალი, ეფეფეგან წვალი მდგრეული!.. აი, რა მეგვო წილათა, ბედისგან შემოდლეული!.. მაგრამ, ვით შვილი მიწისა, ზეცისგან რისხვას ჩვეული, ვუძლებ ჭირსა და ვარამისა,

ვედარ მიმხნებს გრძნეული!.. სკანე წმინდა სულისა





ისევე მაგრამ სხეული!  
 მშორდება გაცრეუბული  
 მაცდური შემოჩვეული...  
 აწ მამაკაღი მამებს,  
 ჩემი ძვირფასი წვეული;  
 და მით ვიქარვებ წელულებსა,  
 რგვარც იბბი. სხეული!..

გ. ბოკერია.

წიგნილი ქ. ყაზანიდან.

† კონსტანტინე კანდელაკი.

(ნეკროლოგი)

ძნელია, მეტათ ძნელი და დამადონებელი, როცა სიცოცხლით სავსე ახალგაზდა უდროობა ეთხოვება წუთისოფელს. მარა ყველაზე უფრო სამძიმო და სამწუხაროა, როცა მოსწავლე ახალგაზდა აკლდება ისეთს, განათლებული შეილებით ღარიბ მხარეს, როგორც ჩვენი საბრალო ქვეყანაა. ორი მილიონი ხალხიდან უმაღლეს სასწავლებელში სულ რაღაც 200-მდე ახალგაზდა გვყავს, და განაგული არ მოგიკვდებათ, როცა ხედავთ, რომ ამ, საყვარელ სამშობლოზე მოწყვეტილს, უცხო ხალხსა და უცხო მხარეში გარდახვეწილს, ისედაც მცირე გუნდს ახალგაზდობისას, რომელიმე საიმედო წევრი სამუდამოთ აკლდება?!

და, აი, სწორეთ ასეთი წევრი გამოაკლდა დღეს ყაზანის ქართველ სტუდენტობას. ეს იყო — სტუდენტი ყაზანის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის მესამე კურსისა, კოტე მიხეილის ძე კანდელაკი. იგი ჯერ სულ 24—25 წლის თუ იქნებოდა, მეტის არა. სწავლა დაიწყო თფილისის სათავადანაპრო სკოლაში და მესამე გიმნაზიაში განაგრძო, საიდანაც ტომსკის უნივერსიტეტში შევიდა. სულ ორი წელიწადია, რაც იგი ყაზანში გადმოვიდა, ციმბირის აუტანელ ჰავის მიზეზით.. ეს ერთათ ერთი ქართველი სტუდენტი იყო ამ ჟამათ ყაზანის უნივერსიტეტში, და ეს ერთიც უდროვოთ გამოგვაცალა ხელიდან უწყალო სიკვდილმა. 16 ოქტომბერს, დილის 7 საათზე, სულ რაღაც ხუთი-ექვსი დღის ავთმყოფობის შემდეგ, მან საუკუნოთ განუტევა სული, რამაც მეტის-მეტათ დააღონა როგორც მისი მეგობარ-ამხანაგები, ისე პროფესორებიც. უკანასკნელნი მას იცნობდენ, როგორც მუყაით მოწაფეს, ნიჭიერსა და შრომის მოყვარეს<sup>1)</sup>. — ამხანაგებისთვის კი იგი იყო ძვირ-

ფასი და საიმედო მეგობარი. ყოველგვარ გაჭირვებაში დამხმარე და გამამხნებელი. მისი გულწინადი ლი ხასიათი, შეგნებული თავაზიანობა და პირდაპირობა უნებლიეთ ხიბლავდა კაცს; ხოლო მისი ხასიათის სიმტკიცე, რწმენათა ურყევლობა და გამბედაობა ბრწყინვალე ელფერით ჰმოსავდა მის პიროვნებას. და, აი, სწორეთ ამ გარემოებით აიხსნება ის თანაგრძობა და პატივისცემა, რომლითაც მას ამხანაგები ეპყრობოდენ ავთმყოფობის დროს და სიკვდილს შემდეგ, განურჩევლოთ ეროვნობისა და სარწმუნოების<sup>2)</sup>.

და არამც თუ მარტო კერძო ცხოვრებაში იჩნდა იგი ამ სანაქებო ხასიათს, არც ერთი საზოგადო საქმე მის ამხანაგთა შორის ისე არ გავითლებოდა, რომ კოტე შიგ არ რეულიყოს. სამუდამოთ დაუფიწყარი იქნება ჩვენთვის ის თავ-გამოდება, რომლითაც განსვენებული მოეკიდა ამ წლის დამდეგს, ახალქალაქის მიწის-ძვრით დაზარალებულთა სასარგებლოთ გამართულ კონცერტის საქმეს, რომლის შესახებ, თავის დროს, „კვალში“ გვქონდა წერილი (იხ. „კვალი“ 1900 წ. № 8), და რომელიც მთლათ განსვენებულის თაოსნობით მოხდა. მისი სიმხნე და მუყაითობა სწორეთ აქ გამოჩნდა. მიუხედავათ იმისა, რომ იმ დროს ყაზანში სულ რაღაც რვაოდე ქართველი ვიყავით, — მან იმდენი იმეცადინა, რომ მაინც მოახერხა კონცერტის პროგრამაში ქართული სიმღერებიც მოექცია და „ლექური“ თამაშიც...


ასეთი იყო განსვენებული კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, — და მიუხედავათ იმ წმინდა კოსმოპოლიტურ, საკაცობრიო თვისებებისა, რომლებიც ისე ძლიერათ იზიდავდა მისკენ ყოველ მის ამხანაგს, რა ჩამომავლობისაც უნდა ყოფილიყო ეს, — მას მტკიცე და შეგნებული სიყვარული ჰქონდა თავის სამშობლოსი, რომელთანაც მას აერთებდა ნაზი და ძლიერი გრძობა სიყვარულისა იმ ადგილთადმი, სადაც ის დაიბადა, აღიზარდა და სადაც აპირებდა სამსახურს.

ხელმძღვანელობით. ამ მუშაობის ნაყოფი იყო მისი გამოკვლევა იმ კითხვის შესახებ, არსებობს თუ არა აზოტი წებოფისებში? ამ გამოკვლევის მოკლე ანგარიში კიდევაც დაიბეჭდა წელს, შემდეგი სათაურათ: „О содержании азота въ комедо-смолахъ“ Студ. мед. К. Канделаки. Отдельный оттискъ изъ фармацевтическаго Журнала 1900 года. — როგორც ამ „ანგარიშიდან“ ჩანს, განსვენებულს განზრახვა ჰქონებია ამ კითხვაზე მუშაობა განეგრძო.

<sup>2)</sup> პროფესორმა ლიუბიმოვმა ამ „ლექტიის დროს, მე-III კურსის სტუდენტებს წინადადება მისცა განსვენებულისთვის პატივი ვცათ ფეხზე ადგომით, რაც მაშინვე სიამოვნებით ასრულეს.

1) სრული ერთი წელია, რაც განსვენებული ფარმაკევტიულ ლაბორატორიაში მუშაობდა პროფესორ ყერგევის





საუკუნო იქნება ხსენება შენი ჩვენ შორის, ძვირფასო მეგობარო, კოტე!

სტუდ. ს. გორგაძე.

P. S. განსვენებულს ამხანაგები აქვე უპირებდნენ დამარხვას, რისთვისაც მათ უკვე შეგროვილი ჰქონდათ საკმაო თანხა; მარა სამშობლოდან გვაცნობდნენ, რომ შინ ვუპირებთ წამოსვენებასო, და ამხანაგებიც მიცვალებულის გვამის შემზადებას შეუდგენ. ნათესავების ჩამოსვლამდე თითქმის ერთმა კვირამ გასტანა; ასე რომ გვამის წასვენება 28 ოქტომბრამდე დაგვიანდა. ამ ხნის განმავლობაში მიცვალებულის კუბო უნივერსიტეტის „სამლოცველოში“ ესვენა, სადაც მას ყოველ დღე პანაშვიდს უხდიდა მღვდელ-მონაზონი მ. ამბროსი ხელაია (სასულიერო აკადემიის სტუდენტი), მთავარ-დიაკვნის დავით გოცირიძისა და უნივერსიტეტის მგალობელთა გუნდის თანადასწრებით. უკანასკნელ, 28 ოქტომბერს, დილის რვა საათზე, მიცვალებულის გვამი უნივერსიტეტის ეკლესიაში გადასვენეს, სადაც, წირვის შემდეგ, რომელიც 11 საათზე გათავდა, იმავე მღვდელ-მონაზონისა და მთავარ-დიაკვნის თანდასწრებით, უნივერსიტეტის მღვდელმა მიცვალებულს წესი აუგო, რომელსაც დაესწრო ყველა ამხანაგები და პროფესორები. წესის აგების მერე, ცხედარი პირდაპირ რკინის გზის სადგურისკენ წასვენეს. ცხედარს უკან მისდევდა აუარებელი სტუდენტობა, რომელთაც რიგ-რიგათ მიჰქონდათ კუბო, და განსვენებულის პატივისცემულნი. ნიშნათ მიცვალებულის სიყვარულისა მისმა თანამეკურსეებმა კირისუფლებს მიართვეს ორი დიდი ფოტოგრაფიული სურათი განსვენებულისა ძვირფას ჩარჩოებში, ზედ-წარწერით, — ხოლო სასულიერო აკადემიის ქართველმა სტუდენტებმა და თანამემამულეებმა მის კუბოზე დაადვეს გვირგვინი ზედ წარწერით: ძვირფასს მეგობარს — თანამემამულეთაგან“.

28 ოქტომბერი ქ. ყაზანი

ს. გ.

მ მ ი რ ე მ მ ნ ი მ მ ნ ა  
(ჩვენებური პოლემიკა)

ძვირათ თუ სადმე იმდენს ლაპარაკობენ და სწორენ ლიტერატურულ სიფაქიზის საკიროებაზე, მის აუცილებლობაზე პოლემიკის დროს, როგორც ჩვენ ტურფა სამშობლოში და მასთანავე თითქმის ვერც ერთ ლიტერატურაში ვერ შეხვდებით კამათში იმ გვარ უზრდელ სიტყვა-პასუხებს, როგორც ქართულ პრესაში. გადაიკითხეთ ჩვენი ყურნალ-გაზეთები, გაეცანით მათ საპოლემიკო წერი-

ლებს დაწერილთ à la კიტა აბაშიძე და თქვენი თვალთ დარწმუნდებით ზემო მოყვანილ მოსაზრების სიმართლეში. სად იმალება ამ არა სასიამოვნო მოვლენის მიზეზი? რა ძალაა ის, რომელიც ქართველ მწერალს პრინციპიალურ პოლემიკის დროს სამართლიან და მეცნიერულ კალამს ავდებინებს ხელიდან და მის მაგივრათ ტალახში ამოსვრილს აწვდის?.. მიზეზები მრავალი და ბევრგვარია; აქ ჩვენ შევეხებით მარტო ორ უმთავრეს მიზეზს. პირველი მიზეზი იმალება ჩვენ სულიერ დაკნინებაში, დაბეჩავებაში; ყველა ჩვენგანს მეტათ განვითარებული აქვს ავათმყოფური თავმოყვარეობა; არ შეგვიძლია სამართლიანი სათვალე ვიხმაროთ მაშინ, როდესაც ჩვენ ნიჭში ეჭვს შემოიტანენ. სრულიად არ დავდევთ იმას, თუ რამოდენათ გულწრფელია მწერალი ამა თუ იმ მოსაზრების გამოთქმის დროს. ეგოიზმი ერთი მხრივ კარგი თვისებაა, თუ კი ის უკიდურესობამდე არ არის განვითარებული. მას კარგი თვისება ეწოდება მანამდის, სანამდის ის სხვის საზღვრებს არ ლახავს, მარა სულ სხვაა, როდესაც თვით-მოყვარეობათ გადიქცევა და სხვის პირადობას არ ინდობს. ამ შემთხვევაში ადამიანი საკუთარ „მე“-ს იდეალათ ისახავს, ის მისთვის ერთგვარი ბომონია, რომლის წინაშე მსხვერპლს სწირავს და სხვებისაგანაც იმას თხოულობს; ყოველ-გვარი კრიტიკა მას პირადობის შელახვა ჰგონია. ასეთი დაბალი ღირსების ეგოიზმი სუფევს ჩვენში და თავს იჩენს პრესაში. წაიკითხეთ ჩვენი თანამედროვე ვითომ და პოლემიკური წერილები და გულზე ხელდადებით ბრძანეთ, ავათმყოფია თუ არა მათი დამწერი?.. მეორე მიზეზი იმალება ჩვენ მოუმზადებლობაში ლიტერატურულ შრომისათვის. ჩვენში ყველა ლიტერატორია, ვისაც აზრის ცოტათ თუ ბევრათ დალაგებით გამოთქმა შეუძლია, ვისაც ნიჭი შესწევს სიტყვა სიტყვაზე გადააბას, მიუხედავათ იმისა, მისი აზრი ბავშური ბოდვაა, თუ მეცნიერული ცოდნა და ეს სიტყვა დროზეა ნახმარი, თუ არა!.. იშვიათათ შეხვდებით ჩვენში მეცნიერულ ცოდნით აღჭურვილ ლიტერატორს!.. ამის მიზეზი ჩვენი უნიკობა როდი არის. ნიჭი გვაქვს, მარა მას მოხმარება უნდა. მის მაგივრათ რომ გავავითაროთ ის, ჩვენ მიწაში ვფლავთ. ცოდნას არ ვიძენთ და თუ ვიძენთ ისე ცოტას, რომ მარტო კარგბამდის გვყოფნის. ჩვენმა ლიტერატორმა თუ ორიოდ წიგნი წაიკითხა, მერე მოსვენებას ეძლევა ამ მხრავ და დანავარდობს გაზეთ-ჟურნალის ფურცლებზე. ამ დროს კი მეცნიერება წინ მიდის, ძველი მოძღვრება ინგრევა და ზედ ახალი შენობა იწყება!.. „ლიტერატორი“ კი ყველა ამას არ ადევნებს ყურს, ის კმაყოფილია იმ „ზერელე“ ცოდნით, რაც მას-



ჟამსა შინა მოუხვეჭია და ხვრინავს... ამისათვის მას სულ რამდენსამე წელიწადში მასალა ელევა და დროს შესაფერ აზრებს ვერ ქადაგობს. ამისთანა მღვდომარეობაში ჩავარდნილი მწერალი ვერ უძლებს ახალ აზრის ცხოველ მყოფელ სხივებს, ახალი მწერლების კრიტიკას. მას სურს თავი იმართლოს—ძალა არ შესწევს და ძალა-უნებურათ პირადობის შელახვას ჰკიდებს ხელს. აქ არც ცოდნაა საჭირო და არც ლიტერატურული ზრდილობა. ოღონდ კი როშოს, რაც პირზე მოადგება და მეტს არას დაგიდევს.

ასე და ამრიგათ ავთმოყოფური თავმოყვარეობა და ცოდნის უქონლობა უმთავრესი მიზეზებია ჩვენში გამეფებულ ინსინუაციებისა, უწმაწური სიტყვა-პასუხებისა და პირადობის ფეხ-ქვეშ გათელებისა. დრო არის ასეთი სამარცხვინო წერილების ბეტღვა მოისპოს ჩვენ პრესაში და კომპანია მლანძღველთა და შურის მძიებელთა სამუდამოთ აილაგმოს.

ოღესა.

სტ. ვ. შავლია.

### ქალის ზრდილა უფლებისათვის

(ქართული თეატრი ქუთაისში)

„მეღეა“.—„ბრკეალები“.—  
 „ნორა“.—„მამულ-ღედული“.  
 (შემდეგი) \*

სულ სხვა სურათს წარმოგვიდგენს იბსენის „ნორა“. ნორას და გელმერს სულით და გულით უუვართ ერთმანეთი; რვა წელიწადია დაქორწილდენ, მაგრამ თითქმის ახლათ ჯვარ დაწერილები არიან, ისე ეძლეკისებთან ერთმეორეს. გელმერი ეგელაზე ბედნიერათ თვლის თავის თავს, რომ იგი ზატრანია ნორასთან ღამაში არსების, უზომოთ მორჩილის, გამგანე ბავშვისა, რომელსაც თავის „მე“ უარ-უუვია და მხლათ ქმრით ცხვრანს.

ერთი მცირე რამ აქვს სადარდელი ნორას: ამ რამდენიმე წლის წინეთ გელმერი ავთ იყო, მას ესაჭიროებოდა იტალიაში გამგზავრება; გელმერებს ფული არ ჰქონდათ, ამისათვის ნორამ ქმარს არ შეატყობინა, ისე (ქმარი არ იქნებოდა თანხმად) ისესხა საჭირო ფული... ღამ-ღამობით მუშაობდა ნორა—რომანებს თარგმნიდა გაზეთისათვის, თავის ტანისამოსისათვის მოცემულ ფულს უკლებდა, რომ ვალზე სარგებელი ექდია. ნორას ის აწუხებს, ქმარმა არ გაიგოს ეს ამბავი.

საქმე სხვანაირათ დატრიალდა. გელმერს ბანკის დირექტორობას მისცემენ. ბანკში სხვათა შორის ვინმე გიუტნერი მსახურობს, რომელიც რამდენიმე ცუდ საქმეშია შენიშნული და რომლის დათხოვნა უნდა გელმერს.

ამ გიუტნერიდან აქვს ნორას ნასესხი ფული. გიუტნერი მიდის ნორასთან და ეუბნება: თქვენ მიერ მოცემულ ვექსილზე თავდებათ მამა-თქვენს უწერია ხელი, მაგრამ ეს მამათქვენის ნაწერი არ არის. მართლა ვექსილს ნორამ მოაწერა ხელი მამის მაგიერ, რადგან მამის მამის მძიმე ავთმოყოფი იყო და ნორას არ უნდოდა შეეწუხებინა ის. გიუტნერი ემუქრება, ეგელაფერს გამოგამყვანებ, თუ თქვენი ქმარი სამსახურიდან დამითხოვს.

ამას ნორას ცდა: ვერც ქმარი დაითანხმა (გიუტნერს ნუ დაითხოვ, ცოდვა არის), ვერც სხვა გზით გახდება რამე. გიუტნერი წერილით ატყობინებს ეგელაფერს გელმერს. ნორა ეხლა იმას ჯავრანს, რომ ქმარი მიიღებს დანაშაულობას თავის თავზე და ის დაისჯება ჩემ მაგიერ და რომ ეს არ ჩადენიოს ქმარს, უნდა თავი დაიხრჩოს. როდესაც გასვლას აზრებს სახლიდან, შემოვარდება გელმერი წერილით ხელში და საძაგელად მიმანივით დაუწევს ცოდს ვინცას: „ეს მართალია?... ეს სამინებება! ეს რა ჩავიდინა!“ ნორა: „გამიშვი მე არ მინდა, ანა მსურს, რომ შენ თავზე მიიღო დანაშაულობა“. საბრადო ნორა! სასწაულს მოელოდა, სასწაულს, რომ ქმარი თავს გასწივას მისთვის და როგორ სამინდით მოტყუვდა! — „თუ შეიძლება, კომედიებს თავი დაანებე!“ მრისხანეთ ეტყვის გელმერი და კარებს ჩაუკეტს: „შენ აქ დარჩები და ზასუხს მომცემ ჩემ ვინცაზე: შენ გესმის, რა ჩავიდინა? სთქვი, გესმის?“ ნორა ზარდაზირ უუერებს და ცივათ უზასუხებს: „დაიდა... ეხლა კი მესმის...“ — გელმერი: „ო, რა გვიან გავანილო თვალები. მთელი რვა წელიწადი ის, რომელიც შეადგენდა ჩემს ამბობას, სიხარულს, იყო... ფიდი, ცრუ, კიდევ მეტი, დამნაშავე... ოჰ, რა სისაძაგლეა, რა საზიზღრობაა! ეგელა ჩემი ბედნიერება შენ გააქრე, ეგელა მომივადი დამიღუპე!“ გელმერი იმას კი არ დარდობს, ნორას სასჯელი და შწუნარება მოეღის და ეს ეგელა მისი (გელმერის) გულისთვის, მხლათ თავის დიხებსაზე ფიქრობს, და როდესაც ნორა ეუბნება: „როდესაც მე არ ვიქნები, შენ თავისუფალი ხარ“, ის მკაცრათ მოუჭრის სიტყვას: „სიტყვებს ნუ აღამაზებ!.. შენ არ იქნები? ეს არ დაუშდის მას ეგელაფერი გამოაქვეყნოს, მამის ადვილათ დამბრალდება მე, რომ შენ მოიქცეო ისე ჩემის თანხმობით, ზოგიერთები იმასაც იფიქრებენ, რომ უმთავრესი დამნაშავე მე ვარ!.. გესმის ეხლა, რა ჩავიდინა?“ — „მესმის!“ ცივი სიმშვიდით უზასუხებს ნორა. ამ დროს ზარს დარეკენ. მოსამსახურეს შემოაქვს ნორას სახელზე ბარათი. გელმერი გახსნის მას და უცებ შეიცვლება, დამშვიდდება, გამხიარულდება კიდევ: ეს ის საშიშარი ვექსილია, გიუტნერს დაუბრუნებია (ნორას მეგობრის ჩავრებით) და ბოდიშსაც იხდის... სამინებმა ქარიშხალმა გადაიარა. დამშვიდებული გელმერი დიდ რანდობას იჩენს და გაცრებული ნორას მიმართავს შემდეგი ტირადით, რომელიც ცხლათ გამოინა-

\*) იხ „კვლი“ № 44.



ტბა ძველი დასავსებული შეხედულება ცალ-ქმრებაზე: „არ გეგონოს, შენ ჩემ თვალში ფასი დაჰკარგე! არა, არა! მომეცი ხელი, დღეის შემდეგ მე შენ გატარებ სწორე გზაზე... მე კაცი არ ვიქნები, რომ ჩქალურმა სისუსტემ უფრო არ მიმიზიდოს... ეცადე, დამშვიდდე ჩემი და-მფრთხილო მტრად, მე დაგიფარავ, დაგიცავ, თავი დაანებე მწუხარებას. მე ვარ შენი ერთგული მცველი... მე განატოე ვეგლაფერი, ამას თვითონ დაინახავ. შენ არ იცი, რა არის მამა-კაცის ხასიათი: ის გრძობს წარმოუდგენელ ტბილ ნეტარებას, როდესაც ახატოებს თავის ცალს... ჩემი საბრძოლო უღონო ქმნილებაზე, ნურათვის გეშინია, ნუ სწუხარ, მხოლოდ იყავ ეფეფლოვის გულახდილი ჩემთან და მე ვიქნები შენი ნება და შენი სინდისი...“

წარვიდენ ის ტბილი დღენი! ნორა გამაფრთხილებს ქმრის სიტყვებმა და საქციელმა. გიუფარდეს, ვეგლაფერი ახატვადე, რომ დაგიფაროს! ნუ თუ ბავში ხარ, რომელსაც გაუწერებიათ, თუ რამ დააშავა! ეთამაშებიან, ელერსებიან, თუ კარგათ იქცევა? ნუ თუ არაფერი ხარ კარდა ლამაზი ქალისა, არა გაქვს შენი „მე“, შენი პირფარული ღირსება, შენ სხვა ხარ და ქმარი სხვა?!

„თქვენ თავის დღეში არ გეგარებოვართ მე,—უუნებ-ბა ნორა ქმარს,—თქვენ გესიამოვნებოდათ, რომ მხოლოდ შეეგარებული ეფეფლოფით ჩემზე... როდესაც მე გაუთხარარი ვიყავი, მამა-ჩემი მინაწილებდა თავის აზრებს და მე ვაღდეგული ვიყავი დავთანხმებულიყავ, რადგან ეფეფლოფე „ჩემი“ აზრი უსიამოვნო იყო მისთვის. ის მეძახდა თავის ტიკინს და მეთამაშებოდა, როგორც მე ჩემს ტიკინებს. შემდეგ გადმოვიდი შენს ხელში. შენ აწუბობდი ვეგლაფერს შენს გემოვნებაზე და ამ რიგით გადმოდოდა ჩემზე შენი გემოვნება... მე ვაღდეგული ვიყავი გამომხიარულებინა ბატონი, რომელმაც თავისუფალი მომიცა. მე ვცნობდობდი მხოლოდ მისთვის, რომ გამეჩეთე შენ ჩემის ცუქტობით...“ — „განა შენ არ იყავი ბედნიერი?“ — „არა! ვიქტობდი, რომ ბედნიერი ვიყავ, მაგრამ ნამდვილათ ეგ არ იყო.“ ამას შემდეგ ნორა უცხადებს ქმარს: მე არ ვარ მომზადებული, რომ შენ გაგიწიო ცალბობა და აზარდლო შვილები, უნდა დავტოვო ოჯახი, წავიდე, რომ ვეგლაზე უწინარეს გამოვზარდო ჩემი თავი.— „დატოვება სახლისა, ქმრისა და შვილებისა! მერე არ ფიქრობ, რას იტყვის ამაზე მთელი ქვეყანა?“ გავვირებით კეითხება გელმური.— „მე არ შემიძლია ესლა ქვეყნის ხმას მივაქციო უურადლება!“ წინართ უზასუსებს ნორა: „მე არ შემიძლია სხვა ფრივ მოვიტყე.— ეს საშინელება!“ ვივრის გელმური: „ასე უნდა დავიწყო შენი უწინდესი მოვალეობა?— რას ეძახი შენ უწინდეს მოვალეობას?— კიდევ კითხულობ?“ უფრო ცხარობს გელმური: „მე ვამბობ ქმრისა და შვილებისადმი მოვალეობაზე.— მე მაქვს სხვა უფრო წმინდა მოვალეობა!“ უზასუსებს მტკიცეთ ნორა.— „ეგ რა მოვალეობა?“

უკვირს გელმერს— „მე მაქვს მოვალეობა თვით ჩემი თავისადმი!— შენ ვეგლაზე უწინარეს, დედა ხარ და ცალბობი— არა!“ უზასუსებს ნორა. შესანიშნავი სიტყვებით: „ღარ-წმუნებული ვარ ღრმით, რომ ვეგლაზე უწინ მე ადამიანი ვარ, ისეთივე ადამიანი, როგორც შენ და თუ ეს ასე არა, მე ვეცდები გავხდე ისეთივე ადამიანი!“

S—n.

(დასასრული იქნება)

მ მ ი რ მ ა ა ს უ ხ ი

თავის საფუძვლიან და ობიექტიურ წერილში (იხ. „გვალი“ № 41) ბ. ნ. ჟორდანიას გვადებს ჭიათურის შავი-ქვის მწარმოებელთა ომბოციციას ოთხ ბრალს, რომელიც ჩვენ არ მიგვაჩნია სამართლიანათ და ამიტომ გვსურს მოკლეთ ვუზასუსებთ:


პირველი ბრალდება: „თითქო ომბოციცია ბევრში შემცდარიყო და პირველი მასში, რომ თითქო რაღაც დაფარული მოსახრებით მიჰკედლებოდა მსხვილ მწარმოებელთ და უარ ექოს საბჭოს წინადადება ფუთ გატანულ ქვაზე კრების სასარგებლოთ ნახევარი კაპეიკის მაგიერ სამი მეოთხედი კაპეიკის გადახდისა.“

ეს აგრე არ განხლდათ. პირიქით ომბოციცია ღილი მსურველი იყო სამი მეოთხედი კაპეიკის მომატებისა, მაგრამ დიდ მრეწველთა და ექსპორტოთ ობიექტმა გადააფურჩქეს ეს კითხვა შემდეგისთვის.

აი ჩვენი აზრი და სურვილი ამ კითხვის შესახებ. როცა წინ აღუდგენ გადასახადის მომატებას ბ.ბ. ემერკი, ნ. წულუკიძე და სხვა ექსპორტიორები, აი რა ვთქვით ჩვენ მასში:

ს. ა. ქვარაძე: „უზასუსებ რა თ. წულუკიძეს და ბ. ემერკის, საჭიროა მოვასწინოთ, რომ ამ ბატონთა შიში, რომ თითქო 3/4 კაპ. გადასახადი მძიმე ტვირთათ დაელება მრეწველთ და ექსპორტიორებს, სრულიად უსაფუძვლოა. შეიძლება ამით დროებით იზარალოს რამდენიმე მსხვილმა ექსპორტიორებმა, რომელთაც გაუიღული აქვთ უკვე მარგანეტი უცხოეთში, მაგრამ ეს არაფერია. ამ გვარი კარდასახადი უმეტესათ აწევბა უცხოელ ფირმებს, რომელნიც ვიდულობენ ჩვენ საქონელს. ჩვენ მარგანეტს კი, რომ თამამათ შეუძლია გაუძლოს არამც თუ 3/4 კაპეიკის, არამედ ერთი კაპეიკის გადასახადსაც, ეს აშკარაა ვეგლასათვის. ამ ფაშათ მსოფლიო ბაზარზე მარგანეტის ფასი ადის 11—13 ზენსამდე და მეტრედაც. ე. ი. 40—45 კაპ. ერთეულ ლითონში, მასში როდესაც ჭიათურის ფასებია 6—8 კაპ., ფოთის კი 22—23 კ. მე პირადათ დავრწმუნდი ბორდოში, რომ ესპანის მანკანიტის ფასი ადის 44 კაპ., მასთან შედარებით კი ჩვენ პირფლუზიტს (მარგანეტს) შეუძლია დაიცვას 50 კაპ. ფასი; ამიტომ კრების დიდი საჭიროების გამო და აგრეთვე იმ მოსახრებით, რომ ჭიათურაში უნდა დაარ-





სდეს საწარმოო ბანკი, მეტათ და მეტათ სასურველია რომ გაზიდულ მარკანეტის კარდასახადი კარდიქმსს 3/4 კანკიკზე.“ (იხ. ოქმები გვ. 44).

გვერდ აზრი წარმოთქვა ბ.ბ. ჭიჭინაძემ და მადე-ბაძემ. აქედან ჩანს, რომ ომზონიის სრულებითაც არავის მიმხრობია და სრულებითაც არ უფიქვანა წინააღმდეგი კარდასახადის მომტკებისა. ეს კითხვა მხოლოდ გადაღებულ ოქმსა საკანკებო კრებისათვის, რაცა უნდა მომხდარიყო მადე. ამას ამტკიცებს თვით კრების თავმჯდომარე ბ. ჩენკერი (იხ. „ახ. მიმხ.“ № 5499).

მეორე ბრალდება: „რაკი ბ. ნიკოლაძემ გადაჭრით უარი თქვა კანდიდატობაზე მეორე კანდიდატი ადარ უნდა წამოყენებიათ.“

ნიკოლაძის უარი ჩვენთვის მოულოდნელი იყო, ზღანოვინი არავის სურდა, მეტადრე წვრილებს, ამიტომ ვინმე უნდა გვემოგონა. ვთხოვეთ ჯერ თ. ა. ერისთავს და შემდეგ ბ. დ. ხელთუფლიშვილს, მაგრამ ორივეს უარი მივიღეთ. ჩემი აზრი იყო ჯერ გაგვემხიბებია ბ. ზღანოვინი და შემდეგ ერთხმად აგვეჩინა ბ. ნიკოლაძე. უმეტესობამ არ გამოცანა, წამოაყენეს ბ. კალატოზიშვილი (უცნობი პირი) და საქმე წახდინეს. უკვე ვთქვით და კიდევ ვიმეორებ, რომ ომზონიის შეთავრება ბ. კალატოზიშვილი არც წამოყენებია და არც მისი კანდიდატი იყო, ასე გაშინჯე აქამდე არც კი გავცნობილვართ მას ზიარდათ, ამიტომ ეს ბრალი ჩვენ არ გვედება.

მესამე ბრალდება: „ომზონიის იწუნებენ ზღანოვინის მოქმედებას ტარიფის დაკლების საქმეში, მაგრამ ამისი ვერც ერთი საბუთი ვერ წარმოადგინა.“

ეს აგრე არ გახლდათ. მე იგივე საბუთები მოვიყვანე კრებაზე ამ კითხვის შესახებ, რაც შემდეგ ბ. ნ. უორდანიამ აღიარა „კვალში“. აი ჩემი სიტყვა:

„ს. ა. ქვარანი: ვკებები კითხვას ტარიფის დაკლების შესახებ. აქამდე მეგონა, რომ ეს საბჭოს მოქმედების შედეგია მეთქი, მაგრამ რაკი ანგარიშს გავეცანი, დავწმუნდი, რომ იგი აქ არათერს შუაშია. მართლაც ბ. ზღანოვინი მთელი ექვსი თვე იჯდა პეტერბურგში და ვერათერი გაწყო. დრო კი მეტათ მარჯვე იყო: არსებობდა საერთო საწარმოო კრიზისი და თვით მთავრობა ხელს უმართავდა მრეწველობის გაჭირვებას. ბ. ზღანოვინი შეიძლება დღესაც პიტერში ბრძანებულებიყო, რომ არ გასჩენოდა მას ბ. ჯ. ასათიანის ბედნიერი ხელი. რომ არავინ დაგვწამოს ღითინი სიტყვა, ამ ფაქტის შესახებ მომეფოს რამდენიმე სტრატეგის საბჭოსგე ანგარიშიდან.“ (იხ. ოქმები გვ. 73—74).

აქ წავიკითხე ანგარიშში მიუყვანილი ფაქტი, საიდან ჩანს, რომ ბ. ჯ. ასათიანს მიუყვანია ბ. ზღანოვინი და ბ. წულუკიძე დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლაძის ქვსთან, გაუცვანია, აუხსნია უფუცილვე ვითარება, რის შედეგათაც მოხუცე მისი უმადლესობის რესკრიპტი ფინანსის მინისტრთან და ტარიფის დაკლება. ეს ჩვენი შენიშვნა

გვკნებ სრულიად საფუძვლიანი იყო. აი რას ბანკებს ამბე თვით ბ. ნ. უორდანიამ:

„ცხადია, ეს ზატაკა დაკლება გამოიწვია დიდი მთავრის გულკეთილობამ და არა საბჭოს ქადაღების საბუთიანობამ. ეს ქადაღები გვასწავლის მხოლოდ იმას თუ როგორ არ უნდა თხროვნების წერა უმადლეს მთავრობასთან.“ (იხ. „კვალში“ № 40).

მეოთხე ბრალდება: ზატეგემული ზუბლიცისტი გვადებს მეოთხე ბრალდებასაც; აი ეს: „ომზონიის შეცდომამ მდგომარეობდა აგრეთვე იმაში, რომ როგორც კი ზღანოვინი გათეთრდა მანდატოვად დაბრუნდა და ბრძოლის მოედანი მოწინააღმდეგეთ მიუტოვა.“

ეს აგრე არ გახლდათ. ზღანოვინის გათეთრების შემდეგ ომზონიის სრულებითაც არ დაუტოვებია ღარბაზი. ომზონიამ მას შემდეგ გაიყვანა საბჭოში და კომიტეტში თავის ორი კანდიდატი: თ. ს. ლეონიძე (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე) და კ. მადებაძე (ზღანოვინი-გაგონების გამწაწილებელ კომიტეტის წევრი). თვით ომზონიის შეთავრება პრინციპიალურათ არ სურდათ მანდატოვება მიუღოთ კრების რომელიმე ორგანოში, რადგან არ უნდოდათ ემუშავნათ იმ გვარ ზარებათს რომელთაც ისინი არ თანაუგრძობდნენ. ვკნებ ამ მოქმედებით დასაძრახი კი არ უნდა იყვნ ომზონიის შეთავრები, არამედ მოსაწინი, რადგან ისინი მოქმედებდნენ შემთხვევაში ისე, როგორც ირჯების განათლებული კვრობიელნი.

უნაკლო ქვეყანაზე არავინაა, ამიტომ ომზონიისაც ჭქენდა ნაკლი, ხოლო ის ბრალდებათი არ ეკუთვნის მას რაც მოგვიძღვნა ბ. ნ. უორდანიამ, ის რომ თვით კრებას დასწრებოდა და გაეცნო ყველა ოქმები, ეჭვი არ არის, ავცდებოდით ზემოთე მოყვანილ ბრალს.\*)

ჭიათურა, 28 ოქტ. სიმონ ქვარიანი.

\*) ჩვენ გვგონია რომ ბ. ქვარიანი სცდება და ეს არც გასაკვარველია, ვინაიდან თავისთავის მიუღლოლოთ განხჯა შეუძლებელია. პირველი ჩემი ბრალდება მტკიცდება თვით ჩენგერის სიტყვებით. აი რას ამბობს ის: „ერთმა წევრმა მთხოვა ეს კითხვა გამომერიცხა კენჭით გადასაწყვეტ კითხვათა სიიდან, რადგანაც კრება შეთანხმდა იმაში, რომ გადასახადის მომატება არ არის სასურველი. ეს განცხადება წევრთა შეკითხვით, მართალი გამოდგა (заявление это, по вопросу членовъ съѣзда, оказалось спроведливымъ) და ეს ასე ჩაიწერა პროტოკოლოში.“ („Вѣст. Гор. Д. и Оп. на .Канк. № 13, გვ. 6). აქედან ცხადია, რომ წვრილი მწარმოებლები და სხვილებიც შეერთებულან ამ კითხვაში, თუმცა წინა კრებაზე პირველთა მეთაურები და მათ შორის ბ. ქვარიანიც გადასახადის მომატებას თავ-გამოდებით ამტკიცებდნენ. რაც შეეხება მეორე ბრალდებას მე სრულებით არ მიიქვამს ბ. კალატოზიშვილი ომზონიის მეთაურებმა წამოაყენეს მეთქი. მე ვთქვი რომ ომზონიამ წამოაყენა თქვა. ხოლო ომზონი მართლ მეთაურებისაგან ხომ არ შედგებოდა. აქ ხალხი და წინამძღონი ერთმანეთს დაშორდნ და პირველმა კალატოზიშვილს ჩაჭვიდა ხელი.—მესამე ბრალ-



საქმელ-მოქმედლო საქმი

**კ**-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით გამოაცხადოთ შემდეგი: 15 ოქტომბერს დ. ხიდის თავში გამართული იყო წარმოდგენა სტუდენტ კირ. ნინიძის სასარგებლოთ. ადგილობრივ ხიდისთავში გაიყიდა ბილეთები 16 მანეთის და 30 კაპეიკისა; სხვა მახლობელ სოფლებში — 16 მანეთის და 50 კაპეიკისა; სულ 32 მ. და 80 კ. წარმოდგენის გამართვაში დაიხარჯა: სახლის ქირა და სხვა ხარჯები — 26 მანეთი და 1 კაპ. წარმოდგენიდან წმინდა შემოსავალი დარჩა 6 მანეთი და 79 კაპ. ამას გარდა ბ. ი. კალანდაძემ შეგვიკრიბა დ. ლანჩხუთში 7 მ. შემდეგი პირებისაგან: ნ. მხეიძე, ი. კვასცაძე, მ. ქერქაძე, ლ. გვარჯალაძე, ი. სვანიშვილი, ბ. ჯორბენაძე, რ. წილოსანი, ს. ბარამიძე, მ. ლომაძე და ვ. ე. კალანდაძე; ბ-ნმა ნ. გეგელაშვილმა გამოგვიგზავნა დ. ნაგომრიდან თავისი 2 მანეთი და მისგანვე შეკრებილი 4 მანეთი, — სულ 6 მანეთი; სილ. რ. თავართქილაძემ — 3 მ.; გრიშა ურატაძემ — 1 მ.; ნინო და ელენე ასათიანებისამ — თითო მან.; ლუკა შევარდნაძემ — 1 მან.; თავ. ტიფო ნაკაშიძემ მ. 1 მ. კოსტ. ბ. გოგობერიძემ — 3 მან.; სილევან ს. კალანდაძემ — 2 მან.; კირილე კოპლატაძემ — 1 მან.; ბესარიონ თ. კოპლატაძემ — 1 მან.; მღ. ლ. კეკელიძემ 1 მან.; სტეფანე სირაძემ — 1 მ.; არტემ სეფერთელაძემ — 1 მ.; იაგორ თალაკვაძემ — 1 მ. ყველა შემოწირულება 32 მანეთი. — წარმოდგენიდან დარჩენილი ფულით 38 მანეთი და 79 კაპ. გაიგზავნა ქ. იურევეში დანიშნულებისამებრ. შემოხსენებულ პირებთან ერთად მადლობას ვუცხადებ: ქ. ქ. ლოლა ინგოროყვას, და ვარო ლომაძეს, ბ. ბ. წულაძეს, ნ. კიკალიშვილს, ის. ლომაძეს, ბ. კალანდაძეს, დ. ბახტაძეს, კ. შარაშიძეს, ე. კალანდაძეს, თედორე ნინიძეს და კ. ულენტს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს წარმოდგენაში; აგრეთვე ქ. ქ. ოლიმპიადა კიკალიშვილს, ლიზა სიამაიშვილს და ბ. ყარამან ნასიძეს, რომელთაც წარმოდგენის გამართვაში და ბილეთების გაყიდვაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს.

გამგე წარმოდგენისა გოგოლი ბერეჟიანისა.

თფილისის

ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მისი თანადსწრებით, 16 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია

დება: საბჭოს მოღვაწეობის კრიტიკა არ უნდა განსზღვრულიყო მარტო იმით, თუ ბ. ზდანოვიჩმა ვინ დაიხმარა ტარიფის დაკლების საქმეში. თავის თავთ ცხადია, რომ ვინმეს დახმარება საჭირო ყოველ ნაირ საქმეში. კრიტიკა უნდა შენებოდა თვით იმ საშუალებებს, ქალაქებს და საბუთებს, რის საშუალებითაც ბ. ზდანოვიჩი ლაშობდა მიზნის მიღწევას. ეს კი ვერა ქნა ოპოზიციამ. მეოთხე ბრალდების პასუხზე არა მეთქმის-რა, რადგან მე თვით ოპოზიციის წევრებმა ვადმომცეს, რომ ზდანოვიჩის არჩევის შემდეგ დარბაზი დავტოვეთ და სხვების არჩევაში მონაწილეობა არ მიგვიღია. და თუ ეს მართალი არ არის — კიდევ უკეთესი. ნ. ყ.

საჯარო ვაჭრობა

რომლითაც უნდა ვაიციეს იჯარით მუხრანის ქუჩის და რიყის შუა მომუშავე ქალაქის ბორანი. ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლია განიხილოს დაწვერილებითი ჰირობები გამგეობის მეოთხე განყოფილებაში, ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევს 3 საათამდე. (3—2)

თფილისის

ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ქალაქის ჰირველ-დაწვებით სასწავლებლებში გალობის მასწავლებელია საჭირო.

ვისაც სურს სსენებულ სასწავლებლებში გალობის მასწავლებლობა, თს ავენ, მიჭმართონ თფილისის ქალაქის გამგეობას. (3—2)

ქართული თეატრი

გვირას, 12 ნოემბერს 1900 წ.

ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I. დე-მმა

ისტორიული დრამა 5 მოქ. ვ. გუნიასი

II.

ახალი პიესა

უკუღმართი ალაგი

კომ. 1 მოქ. გაღმ. ეფ. მესხის-მიერ

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ხუთშაბათს, 16 ნოემბერს

ბენეფისი ვ. ა. აბაშიძისა

წარმოდგენილი იქნება

ეფ. მესხის და ტასო აბაშიძის მონაწილეობით

ახალი პიესა

ლკრი ზიბგირი

პიესა 5 მოქ. და 7 სურათ. თხზ. პიერ დე-კურსელისა, თარგ. ვ. აბაშიძისა

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. გუნიასი.

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.